წელიწადი V/I. 1905 წ. წელიწადი V/I.

მ ო გ ზ ა უ რ ი

უ ო ვ ე ლ კ ვ ი რ ე უ ლ ი ჟ უ რ ნ ა ლ ი

№ 9. კვირა, 13 მარტი 1905 წლისა. № 9.

გამოვიდა ახალი წიგნი

ნაწყვეტები პოლიტიკურ ეკონომიიდან

ა. წულუკიძისა

ფასი ათი შაური.

შინაარსი: გლეხ-კაცობის მოძრაობა ქართლში, ფ. მახარაძისა.—სხვა-და-სხვა ამბები.—კორესპონდენციები.—რუსეთის ქრონიკა.—იდუმალი ხმა, თაგუნასი.—ჟურნალ-გაზეთებიდან.—გურიის ამბები, კ-ძისა.—კანონიერების ფარგალში.—ქალაქის საბჭოს დარბაზში.—საზოგადოებრივ ისტორიული წერილები, თარგ. ლ. ელიავასი.—განცხადებანი.

გლეხ-კაცობის მოძრაობა ქართლში.

ამ უკანასკნელ დღეების განმავლობაში საზოგადოების და ჟურნალ-გაზეთების ყურადღება რამდენიმეთ მიპყრობილი იყო ქართლის გლეხ-კაცობაზე. გურიის გლეხ-კაცობის მოძრაობის შემდეგ ქართლის გლეხ-კაცობამაც ააყაყანა საზოგადოება და ხმა ამოაღებია ჩვენ დიდი ხნიდან დაყრუებულ მწერლობის. ბევრს ქართლის გლეხობის მღელვარება გურიის ამბების გამოხმაურება გონია: ფიქრობენ, რომ გურიის მოძრაობამ გავლენა იქონია ქართლის გლეხებზე, ისე როგორც ქვემო და ზემო იმერეთის გლეხ-კაცობაზეო. ვთქვათ, რომ ეს მართლა ასეა, მაგრამ ჩვენი შეხედულებით ეს მხოლოთ გარეგანი კავშირია ამ ორ მოვლენას შორის, მიზეზი კი როგორც ერთის, ისე მეორის უფრო ღრმა არის, და იგი არ შეიძლება მარტო ზეგავლენით აიხსნას. ვინ არ იცის, რომ ამ ჩვენ კურთხეულ ქვეყანაში ერთი მხრით არსებობენ მემამულეები, მიწათმფლობელები, ანუ თავად-აზნაურობა, და მეორე მხრით მიწის მუშები, ანუ გლეხ-კაცობა. ვინ არ იცის, რომ პირველების ხელში მოგროვილია დიდ-ძალი საუკეთესო სახნავ-სათესი მიწები, საძოვარი მინდვრები, ტყე, წყალი და სხ. მეორეები კი იმავე დროს დიდ გაჭირვებას იტანენ უმიწობის გამო. ვინ არ იცის, რომ უფლების მხრითაც გლეხ-კაცობა მოკლებულია ბევრ რამეს, რითაც შეიარაღებულია თავად-აზნაურობა და რაც საშუალებას აძლევს მას გლეხ-კაცობა შეავიწროოს და დაჩაგროს. კარდა ამისა, ვინ არ იცის, რომ გადასახადია, თუ ბეგარა, ყველა გლეხ-კაცობას აქვს დაკისრებული, მემამულეები კი ყველა ამაებისაგან თავისუფალი არიან. მაშასადამე იქ, სადაც ასეთი პირობებია, დაბეჩავება და შევიწროება აუცილებელი მოვლენაა, და სადაც შევიწროებაა, იქ უკმაყოფილებაც უეჭველათ უნდა იყოს. მაგრამ შევიწროება მუდამ ერთ წერტილზე როდია გაჩერებული; ინტერესთა წინააღმდეგობა თანდათან მწვავდება, და მასთან ერთათ მწვავდება და იზრდება საზოგადოების დაბეჩავებულ და შევიწროებულ ნაწილში უკმაყოფილება, რომელიც ჯერ კერძო არეულობებში და ამბოხებაში იჩენს თავს და შემდეგ კი ამბოხების ალი ედება მთელ დაბეჩავებულ და გაღატაკებულ წოდებას, და იწყება საერთო მოძრაობა არსებული წეს-წყობილების მოსასპობათ. საქართველოში ალბათ იშვიათათ მოიპოვება მეორე კუთხე, სადაც გლეხ-კაცობა ისე შევიწროებული იყოს, როგორც ეს ქართლშია. ჯერ კიდევ ბატონ-ყმობის დროსაც აქაური გლეხობა მეტათ შეწუხებული იყო მებატონეებისაგან. ძნელია კაცმა წარმოიდგინოს ის, რასაც აქ ადგილობრივი მებატონეები გლეხებს აყენებდენ. ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ მდგომარეობა რამდენიმეთ შეიცვალა: გლეხის პიროვნება რამდენიმეთ განთავისუფლდა ბატონის აულაგმავი თვითნებობისაგან, მაგრამ ქონებრივათ, ნივთიერათ გლეხი ისევ ნაბატონარისაგან დარჩა დამოკიდებული, ასე რომ სიტყვები: გლეხი და ბატონი ისევ ძველებურათ დარჩა ცხოვრებაში. ნაბატონარს ისევ ძველი ბატონის უფლება დაურჩა, გლეხი კი ისევ ძველ ბატონ-ყმურ მდგომარეობას უნდა შერჩენოდა. მართალია, ცხოვრებაში ახალმა სიომ დაბერა, ახალმა სხივმა შემოაშუქა კაპიტალისტური წარმოების სახით, მაგრამ მეურნეობაში ჯერ კიდევ ძველი წესი მეფობდა. მეორე მხრით ფულის საჭიროებამ სოფელშიაც იჩინა თავი, რადგანაც კაპიტალისტურმა მრეწველობამ საბოლოოთ მოკლა შინაური, ოჯახური მრეწველობა; გლეხს შერჩა მხოლოთ მეურნეობა, რითაც მას უნდა დაეკმაყოფილებია ყოველგვარი მოთხოვნილება. მაგრამ მეურნეობისათვის კი საჭიროა მიწა, და სწორეთ ეს მიწა აკლდა თავიდანვე გლეხობას. თუ ეს ასე იყო ბატონ-ყმობის გადავარდნის დროს, როცა გლეხებს მხოლოთ იმ მიწების ნაწილი მიუზომეს, რომლებითაც წინეთ ისინი სარგებლობდენ, რალა უნდა მომხდარიყო შემდეგში, როცა გლეხ-კაცობა გამრავლდა და იმავე დროს სხვა და სხვა გადასახადმა და მოთხოვნილებამ იმატა. მიწის სიმცირე გლეხობაში თანდათან უფრო და უფრო საგრძნობელი შეიქნა. იმავე დროს მემამულეების თვალშიაც, რაც დრო გადიოდა, მიწას ფასი სულ უფრო და უფრო ემატებოდა, ვინაიდან შემოსავლის სხვა წყარო იმათთვის თითქმის დახშული იყო. მიწის შემოსავალს ისინი ორ ნაირათ, ორი სახით იღებდენ: ერთი დროებით ვალდებულ გლეხებისაგან სანადელო გადასახადი, მეორე საჯარო ქირა იმ მიწების სარგებლობისათვის, რომლებსაც გლეხები იღებდენ უანებათ. სანადელო გადასახადის რაოდენობა სამუდამოთ გადაწყვეტილი იყო, ე. ი. მოსავლის მეოთხედი, მაგრამ იგი მატულობდა იმდენათ, რამდენათ გლეხი აკეთებდა თავის „ნადელს". ამ ნადელების ისტორია მეტათ საგულისხმიერო ამბავია. ავიღოთ ასეთი შემთხვევა: ჩვენ ვიცით, რომ ყველა ნაბატონარი გლეხი დროებით ვალდებული შეიქნა თავის მებატონისაგან. დროებით ვალდებულ გლეხს, თუ ნაბატონარის ნება იქნებოდა და ჯიბეში ფული ჰქონდა, შეეძლო ამ უკანასკნელისაგან გამოეყიდა თავის ნადელი; გლეხობის ერთმა ნაწილმა მართლა გამოიყიდა ნადელები პირველ ხანებშივე. ვთქვათ გლეხს თავის ნადელის გამოყიდვა, რომელიც 4—5

დესეტინისაგან შედგებოდა და უკიდა 200—300 მანეთი. ჯერ ესეც უსამართლობა იყო, რომ გლეხებს აცილებინეს ის მიწები, რომლებითაც ისინი სარგებლობდენ ბატონ ყმობის დროს. ახლა თქვენ წარმოიდგინეთ ის, რომ უმრავლესობას არა თუ პირველ ხანებში, არამედ დღემდისაც ვერ მოუხერხებია თავის „ნადელების“ გამოყიდვა. და ახლა აი რა გამოდის: ორმოცის წლის განმავლობაში დროებით ვალდებულმა გლეხმა აკეთა თავის სანადელო მიწა, რითაც მისი ფასი თანდათან მაღლა იწევდა და იმავე დროს ყოველ წლივ ნაბატონარსაც სულ მეტ გადასახადს აძლევდა. რომ ვიანგარიშოთ ყოველივე, რაც დროებით ვალდებულმა გლეხებმა მიცეს მემამულეებს გადასახადის სახით, გამოვა, რომ მათ ამ ორმოცი წლის განმავლობაში რამდენიმეჯერ გადაუხდიათ თავის „ნადელების“ ფასი, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ისინი დღესაც დროებით ვალდებული არიან, ისინი დღესაც იხდიან მეოთხედს, და გამოყიდვა რომ მოინდომონ, მემამულეები დღეს იმათ ორ წილ ფასს მოითხოვენ, ვინემ ამ ორმოცი წლის წინეთ; და მემამულეების უმრავლესობა დღეს არც კი ახსნის თავს დროებით ვალდებულ გლეხებს, ვინაიდგან იმათთვის ხელსაყრელია იქონ იმათგან მოსავლის მოიხადო, და იქონ ისინი თავისგან დამოკიდებულად ერთხელ და სამუდამოთ. აქედან ცხადი გახდება, რომ დღეს თავის დახსნა ანუ „ნადელების“ გამოყიდვა დროებით ვალდებულ გლეხებისთვის შეუძლებელ პირობებშია ჩაყენებული და იმავე დროს კი იმათი მდგომარეობა თითქმის დიდათ არაფრით განირჩევა ბატონ-ყმურის მდგომარეობისაგან. რაც შეეხება საიჯარო ქირას, ყველამ იცის, თუ როგორი სისწრაფით მატულობდა იგი ჩვენში ამ უკანასკნელ ხანებში. ქართლი, განსაკუთრებით გორის მაზრა, სადაც დღეს ყველაზე მეტათ გამწვავებულია მემამულეებსა და გლეხებს შორის დამოკიდებულება, ამ მხრით მეტათ საინტერესოა. ეს დამოკიდებულება გამწვავებულია აქ კიდევ ხიზანთა კითხვით. სამწუხაროთ, ხიზნები უმრავლესისათვის უცნობი საგანია. ხიზნების მდგომარეობა დღემდისაც არ არის გამორკვეული და განსაზღვრული, მთავრობაც იმათ შესახებ ორჭოფ გზას დაადგა, თუმც ბოლოს, თანახმათ მემამულეების სურვილისა, ისინი უბრალო მეიჯარეებათ იცნო იმ მიწებზე, რომლებიც იმათ უხსოვარ დროიდან ქონდათ ნაკეთები და ნათუთურები. მემამულეებს სრული უფლება მიანიჭა მთავრობამ ხიზნები გაეძევებიათ ამ მიწებიდან, თუ რომ ეს უკანასკნელნი იმათ პირობებზე არ დათანხმდებიან. ეს კანონი პირდაპირ მემამულეების თხოვნით გამოიცა; მთავრობა მარტო მემამულეებს საჩივარს აძცევდა ყურადღებას და ხიზნების მდგომარეობა კი დაივიწყა, მაგრამ ცხოვრებაში ხომ ძნელი, თითქმის შეუძლებელი იქნებოდა ამის განხორციელება, ეს ყველასათვის იქ თავიდანვე აშკარა უნდა ყოფილიყო. და ეს ასეც მოხდა, მაგრამ ჩვენ აქ ამაზე ვერ შევჩერდებით. დღეს საქმე მეტათ სერიოზულ მიმართულებას ღებულობს. მართალია, ის, რაც დღეს გურიაში ხდება, ძალაუნებლიეთ ჩვენ ქართლის ვითარებას გვაგონებს, მით უმეტეს, რომ ნიადაგი ერთი და იგივე არის, ე. ი. აგრარული განხეთქილება, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ დღეს გურიის გლეხ-კაცობასა და ქართლის გლეხ-კაცობას შორის დიდი განსხვავებაა. მაშინ, როცა გურიის გლეხკაცობას შეგნებული აქვს თავის მდგომარეობა და მომზადებულია მომავლისათვის, ქართლის და საზოგადოთ მთელი ტფილისის გუბერნიის გლეხობა ამ მხრით მეტათ სამწუხარო სურათს წარმოადგენს. ბევრს, ვინც საქმის ვითარება არ იცის, გონია, რომ გურიაშიც ის ხდებოდა, რაც დღეს ქართლში ხდება. მაგრამ ეს ასე არ არის გურიაში გლეხებს არ მოუხდენიათ არეულობა, არ უხმარიათ ძალა; ისინი მოქმედებენ მშვიდობიანის გზით და დღემდის ერთხელაც არ უღალატიათ საერთო საქმისათვის და მიახწიეს იმას, რომ დღეს მთელი ქვეყნიერება კვირობს იმათ შესახებ. სულ სხვას ვხედავთ ჩვენ დღეს ქართლში. გლეხების მოძრაობას აქ არ ეტყობა თვითცნობიერების და მომზადების ნიშანი. ეს არის სტიქიური მოვლენა, როგორც წინეთაც მრავალჯერ მომხდარა ქართლში; განსხვავება მხოლოთ იმაშია, რომ წინეთ ეს უფრო კერძო მოვლენას შეადგენდა, და დღეს კი იგი მთელ მაზრას ეხება, და არა თუ მარტო ერთ მაზრას, სხვა მაზრებშიაც გადადის და საერთო არეულობის ხასიათს ღებულობს. ახლა იბადება კითხვა: შეიძლება თუ არა ამ მოძრაობის შეჩერება. და სასარგებლო იქნება თუ არა ეს შეჩერება? ჩვენის აზრით, მოძრაობის შეჩერება შეუძლებელია; ეს შედეგია დიდი ხნის განმავლობაში მიყენებული შევიწროებისა და დაბეჩავებისაგან. იმისი მიზეზი არის ღრმა ეკონომიური განხეთქილება მემამულეებსა და გლეხებს შორის. ეს არის იგივე მუშათა კითხვა, რომელსაც ასე უარს ყოფენ ჩვენში ზოგი დაშოქსებული მწერლები. მაგრამ ამის უარის ყოფა დღეს მხოლოთ სრულებით დაბრმავებულს თუ შეუძლია, თორემ სხვას არავის. საშიში აქ მხოლოთ ის არის, რომ დღევანდელ პოლიტიკურ პირობებში, როცა არ არის სიტყვის, პრესის, ყრილობის, გაფიცვის, კავშირის თავისუფლება, როცა ადამიანის პიროვნება არ არის ხელუხლებელი, მოძრაობისათვის არ არის უზრუნველი საყოფელი ნორმალური მსვლელობა. მხოლოთ ასეთ თავისუფლებას შეუძლია მწარე განსაცდელისაგან დახსნა. ამიტომ ვისაც ხალხისთვის გული ეწვის, იგი ყოველი ღონისძიებით ამ თავისუფლების მოსაპოვებლათ უნდა ცდილობდეს. თავზარდაცემული მემამულეები, რომლებიც არც კი გრძნობენ თავიანთ ძველ და ახალ ცოდვებს ხალხის წინაშე, საზოგადოებისა და პრესისაგან თხოულობენ დახმარებას და შველას, თითქო საზოგადოება და პრესა იმათი ყურმოჭრილი ყმა იყოს! მაგრამ როდის იყო, რომ ისინი საზოგადოებას და პრესას პატივს ცემდენ, როდის იყო, რომ იმათ სწამდათ როგორც პირველის, ისე მეორის ძალა და მნიშვნელობა? პირიქით, ისინი მუდამ ფეხ ქვეშ თელავდენ როგორც პირველს, ისე მეორეს. და აი ახლა, როცა საზოგადოების ხმა მნიშვნელობას იძენს, როცა პრესსა გავლენიან ძალათ ხდება საზოგადოებაში, ხალხის მჩაგვრელები კამოდიან და საზოგადოებისა და პრესის დახმარებას თხოულობენ! ეს დიდი უგუნურებაა, რომ მეტი არა ვთქვათ. მაგრამ ეს მიმართვა მეორე მხრით არის საყურადღებო: იგი მოწმობს, რომ თავად-აზნაურობას საკუთარი ძალა შემოკლებია და მთავრობისგანაც დახმარებას დღეს აღარ მოელის, და აღარც მისი იმედი აქვს. იგი ინსტიქტიურათ გრძნობს თავის სრულ გაკოტრებას და აღსასრულის მოახლოებას. მას დღეს ვედარ უშველის ვედარც ძველებურათ ღიღინი: გლეხები და თავადები ძმები არიან, და იმათ უერთმანეთოთ ცხოვრება არა გზით და არა საშუალებით არ შეუძლიათ. გლეხებმა უკვე კარგათ შეიგნეს, თუ რას ნიშნავს თავად-აზნაურობასთან ძმობა და ერთობა. მაგრამ აქ იბადება მეტათ სერიოზული კითხვა: რა სწადია მომავალში გლეხობას, რა იდეალი აქვს მას დასახული მომავლისათვის? ყოველივე კი დამოკიდებულია ამაზე. კრიმ-გირეის მოგზაურობამ გურიაში რამდენიმეთ გამოარკვია, თუ რა სურთ დღეს გურულ გლეხებს და აგრეთვე ისიც, თუ როგორია იმათი მომავალი იდეალი. ქართლელი გლეხ-კაცობის შესახებ კი ჯერ არაფერი არ ითქმის, გარდა იმისა, რომ იგი მეტათ ჩამორჩენილია, და ეს გარემოება კი მეტათ დამაფიქრებელია. მეორე მხრით ჩვენ პრესასა და სახალხო მოღვაწეთ მეტათ მოხერხებული და მარჯვე დრო უდგებათ, რომ განათლების და თვითცნობიერების ლამპარი შეიტანონ ქართლის გლეხ-კაცობაშიაც.

ფ. მახარაძე.

სხვა და სხვა ამბები.

—

კავკასიის მთავარმართებლის განკარგულება: ,,ქუთაისის გუბერნიაში და ბათუმის მხარეში ამბოხება-არეულობისა და აშკარა დანაშაულობათა საბოლოოთ მოსასპობათ საჭიროთ დავინახე, ქუთაისის გუბერნატორის ავათმყოფობის გამო, ხსენებულ გუბერნიის დროებითი სამოქალაქო მართვა-გაგეობა გადავცე კავკასიის ყაზახთა მე-2დივიზიის უფროსს გენერალ-ლეიტენანტს, თავ. ჯამბაკურ-ორბელიანს; ამასთანავე მასვე ვავალებ, დროებით აღასრულოს თანამდებობა გენერალ-გუბერნატორისა ოზურგეთის, სენაკის და ქუთაისის მაზრებში და ბათუმის ოლქის კინტრიშის ნაწილში, სადაც დღეს ომიანობის დროის წეს-რიგია შემოღებული. ამასთანავე, გენ.-ლეიტ. თავ. ჯამბაკურ-ორბელიანის განკარგულებაში იქნება ყველა იმ ჯართა ნაწილები, რომელიც გაგზავნილია ხსენებულ ადგილებში, როგორც სამოქალაქო ადმინისტრაციის დასახმარებლათ, აგრეთვე რკინის გზის დასაცველათ. გარდა ამისა, მისს განკარგულებაშივე იქნება ხსენებულ რაიონში სხვა და სხვა ადგილას დაბანაკებული ჯარებიც''.

—

ოფიციალური ცნობა. გაზ. ,,კავკაზ''-ში დაბეჭდილია შემდეგი: ,,4 მარტს, ღამით, შორაპნის მაზრაში გადაწვეს სასოფლო სამართველოები ხარაგოულისა, მუხურისა, საზანოსი, ხრეითისა და კვალითისა, ხოლო 5 მარტს დღითი გადაწვეს სოფ. კვალითის ეკლესია. 5 მარტს, საღამოს, ზუგდიდის მაზრის სოფ. რიკეში, პრინცესსა მიურატის მამულში, გლეხთა ბრბომ შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია ბოქაულებსა და დარაჯებს, რომელნიც გაგზავნა დარაჯთა აფიცერმა, კაპიტანმა, ზენჩენკომ, გლეხთა მოძრაობის მეთაურის შესაპყრობათ. როდესაც დაპატიმრებული ხუთი ბრალდებული მიყავდათ, გლეხთა ბრბო ჯარს შემოერტყა დარაჯთა რაზმს და მოითხოვა დაპატიმრებულთა განთავისუფლება. დარაჯებმა უარი უთხრეს; გაბრაზებულმა გლეხებმა სროლა აუტეხეს დარაჯებს. თავის მხრივ დარაჯებიც იძულებული შეიქნენ თოფები დაეშინათ გლეხთა ბრბოსთვის. სროლის დროს ბრბოში მონაწილეთაგან მოკლულ და დაჭრილ იქნა რამდენიმე კაცი, ჯერ არაა გამორკვეული, სულ რამდენი დაშავდა. იმავე ღამეს გადაწვეს დიდინეძის სოფლის კანცელარია. ამის თაობაზე შეიპყრეს და ციხეში დააპატიმრეს რამდენიმე გლეხი''.

—

ქუთაისში, 8 მარტს, საშუალო სასწავლებლებში შემდეგი განცხადება გაუკრავთ: მინისტრის წინადადებით სწავლა 15 მარტს უნდა დაიწყოს. ვინც ამ დღეს არ გამოცხადდება, დათხოვნილ იქნება სასწავლებლიდან. დათხოვნილ მოწაფეების ხელ-ახლათ მიღება შეიძლება პედაგოგიურ რჩევისმიერ მის დანაშაულის გარკვევის შემდეგ და მზრუნველის განკარგულებით. უნდა შეიტანოს ყველამ ეხლავე ნახევარი წლის სწავლის ფული.

—

9 მარტს, სასულიერო სასწავლებლის მოწაფეები მოწვეულ იყვენ სწავლისთვის; მოწაფეებმა მოითხოვეს, სხვათა შორის, 22 დათხოვნილ ამხანაგის სასწავლებელში დაბრუნება. ეს თხოვნა არ შეიწყნარა მრავრობამ და მოწაფეებმა სწავლის განგრძობაზე ხელახლა უარი განაცხადეს.

—

ბ-ნი სულთან კრიმ-გირეი, რომელიც მთავრობის განკარგულებით გურიაში იყო გაგზავნილი, ადგილობრივ საჭიროებათა და მოთხოვნილებათა გამოსარკვევათ და რომელმაც უკვე დაათვალიერა რამდენიმე საზოგადოება, მთავარმართებლის მოადგილის განკარგულებითვე ისევ უკან იქნა გაბრუნებული. ბ-ნ კრიმ-გირეის უნდა დაეთვალიერებია გურიის ყველა საზოგადოება, რაც მან ვერ მოასწრო. ამბობენ, ბ-ნი კრიმ-გირეი გურიაში აღარ დაბრუნდებაო.

—

თფილისის რეალურ სასწავლებელში, მეორე და მესამე გიმნაზიაში 7 მარტიდან სწავლა შეწყვეტილია.

—

ქ. ბათუმში, 8 მარტს, საქალაქო ექვს-კლასიან სასწავლებელში, მარიამის სახელობის ქალთა სასწავლებელში და ქართულ სკოლაში დღეს სწავლა შესწყდა.

—

8 მარტს ამიერ-კავკასიის რკინის გზის მთავარ სახელოსნოს მუშებმა, დილის ათი საათი იქნებოდა, რომ მუშაობას თავი გაანებეს და მოითხოვეს რკინის გზის უფროსის ივანოვსკის ნახვა. ბ-ნ ივანოვსკიმ შეუთვალა—დეპუტაცია ამოარჩიეთ და გამომიგზავნეთო. დეპუტაციის არჩევა და გაგზავნა მუშებმა არ ისურვეს და დაიშალენ. შეგროვდენ ისევ იმავ დღეს ორ საათზე და კიდევ მოითხოვეს ივანოვსკი, მაგრამ ივანოვსკიმ ისევ ის შეუთვალა. მაშინ ხელოსნებმა გადასცეს სახელოსნოს უფროსს ქალალდი ივანოვსკისთან წარსადგენათ. ამ ქალალდში 16 მუხლი იყო აღნიშნული. ზოგიერთი იმათგანი: 1) უეჭველათ მიიღეთ დათხოვნილი მუშები; 2) დაპატიმრებულნი გაანთავისუფლეთ და დაუბრუნეთ თავიანთ საქმეს; სანამ ამას არ ასრულებთ, ჩვენ არ გამოვალთ სამუშაოთ 3) ყველას მოუმატეთ ჯამაგირები; 4) გააუქმეთ ის განკარგულება, რომ ვინც რუსული არ იცის, ის იქნება მიღებული სახელოსნოში; 5) ყველა წესები ქართულ ენაზეც იყვეს დაბეჭდილი; 6) ომიანობის დროის წესები გაუქმებულ იქნეს; 7) წელიწადში ექვსი ბილეთი მოგვეცეს; 8) დაწესდეს რვა საათის სამუშაო დრო. პასუხის ვადა მომუშავეებმა სამი დღე დანიშნეს. (ცნ. ფურ.).

—

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მე-15 ნაწილის ლიანდაგზე უკვე რამდენიმე დღეა, რაც მუშებმა მუშაობაზე ხელი აიღეს და აღარ მუშაობენ.

—

თანახმათ დუშეთის მაზრის უფროსის შეამდგომლობისა, დუშეთის მაზრაში ჯარი გაიგზავნა აღელვებულ გლეხების დასაწყნარებლათ.

—

,,კავ.'' წერია: ,,7 მარტს სოხუმში, ქალაქ გარეთ პოლიციამ აღმოაჩინა მუშათა ყრილობა. მუშებს უნდოდათ ქალაქში შესულიყვენ, სხვა მუშებთან შეერთებულიყვენ და უწესობა მოეხდინათ. მიღებულ ზომებით შეპყრობილ იქნა ორი აგიტატორი, რომელთაც აღმოაჩნდათ პროკლამაციები, იარაღი და წითელი დროშა, მთავრობის საწინააღმდეგო წარწერით. უწესობა მოსპობილ იქნა. მოძრაობა აფხაზთა შორისაც დაიწყო. აფხაზებს ვიღაცები აქეზებენ და ისინიც თვით-ნებობას იჩენენ, ართმევენ გადმოსახლებულ რუსებს ადგილებს და უარს აცხადებენ ხაზინის გადასახადების გამოღებაზე. 8 მარტს დილით საქალაქო სკოლის მოსწავლე მეგრელებმა დალეწეს თავისი და აგრეთვე რეალური სასწავლებელი. ამის შემდეგ მეგრელთა სოფლებიდან სოხუმისკენ დიდძალი ხალხი წამოვიდა. ეს ხალხი სოხუმიდან ოთხი ვერსის მანძილზე შეაჩერა ოლქის უფროსმა. ხალხმა მოითხოვა წინა დღეს დაპატიმრებულ აგიტატორთა განთავისუფლება, რაზედაც უარი უთხრეს. შემდეგ ხალხი უკან დაბრუნდა და უწესობა ქალაქში აღარ მომხდარა. გუდაუთის ნაწილში ლიხნელები თავს დაეცენ რუსის სოფელს და მოითხოვეს დასახლებულთა წასვლა''.

7 მარტს თფილისიდან ჰიათურაში გაიგზავნა ბაქოს პოლკის ერთი ბატალიონი.

—

გენერალ ალიხანოვს ქუთაისის გუბერნატორისთვის უცნობებია, რომ თუ ამ მოკლე ხანში არ გამოცხადდა ოზურგეთის მაზრის უფროსი ჯაფარიძე და არ შეუდგა თავის თანამდებობის ასრულებას, სამსახურიდან დათხოვნილი იქნებაო.

—

ქალ. ბათომში 9 მარტს არც ერთი მუშა, არც ერთი მეეტლე თუ მედროგე სამუშაოთ არ გამოსულა.

—

10 მარტს თფილისის ხახელოსნო სასწავლებელში სწავლა შეწყვეტილ იქნა. მოსწავლეებმა განუცხადეს, რომ დღევანდელ პირობებში სწავლის გაგრძელება არ შეგვიძლიაო.

—

28 თებერვალს ქალ. თელავში, გაზ. ,,კავ.''-ს სიტყვით, უწესოება მოხდა. ხალხმა, რომელშიაც 500 კაცამდე იქნებოდა, თავი მოიყარა ბაზრის მოედანზე მაღლა ყვირილით: ,,გაუმარჯოს თავისუფლებას და ერთობასაო''! ხალხს უნდოდა უწინდელ ჩვეულებით ესარგებლნა და მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაცია მოეხდინა. ამ დროს სროლის ხმა გაისმა. მოწვეულ იქნა ერთი როტა სალდათებისა, რომელთაც შეკრებილნი გაფანტეს. შეტაკების დროს დაშავდა ბოქაული კუიუმჩიბაშევი და ფეხში დაიჭრა გლეხი ფირგნაშვილი.

—

იმავე გაზეთის სიტყვით, 27 და 28 თებერვალს, შორაპნის მაზრაში გადაუწვავთ კაცხის და ბოსლევის სასოფლო სამმართველოები.

—

8 მარტს ბათუმის საქალაქო სასწავლებლის მოსწავლეებს, როგორც ადგილობრივი გაზეთი გადმოგვცემს, ლოცვის შემდეგ განუცხადებიათ პროტესტი—დღევანდელ პირობებში არ გვინდა სწავლაო. ნაწილი მოსწავლეებისა აქედან წასულა მარიამის ქალთა სასწავლებელში და მოუთხოვნია სწავლის შეწყვეტა, რაც მოსწავლე ქალებს შეუსრულებიათ. შემდეგ მოსწავლენი წასულან ქალთა პირველ-დაწყებით სკოლისკენ.

—

ამას წინეთ სადგურ შორაპნის მახლობლათ დიდი უსიამოვნება მომხდარა სტრაჟნიკებსა და მცხოვრებლებს შორის. მოთმინებიდან გამოსული მცხოვრებლები, შეიარაღებულნი თოფებით, ხანჯლებით და კეტებით შემოერტყენ სტრაჟნიკების სახლს და თხოულობდენ, რომ სტრაჟნიკები კარში გამოსულიყვენ, მაგრამ სტრაჟნიკებმა, შიშისაგან ზარდაცემულებმა, კარები და ფანჯრები ჩაკეტეს და კარში გამოსვლას ვერ ბედავდენ. ამიტომ გლეხებმა ცეცხლი წაუკიდეს სტრაჟნიკების სადგომს და ისინი მხოლოთ მაშინ გამოვარდენ გარეთ, და აქეთ-იქით გაიქცენ. ხალხმა იმათ თოფი ესროლა და ორი იმათგანი იქვე დაეცა მიწაზე დაჭრილი. დანარჩენები გაქცეულან.

—

იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი ქონდა თფილისის ქალთა ეპარქიალურ სასწავლებელში მომხდარ ამბების გამოკვლევა, რის შედეგი ხსენებულ სასწავლებლის დახურვა იყო, საქმის გამოძიების შემდეგ, სხვათა შორის, დაუდგენია: დათხოვნილ იქნას ამ სასწავლებლის უფროსი (ნაჩალნიცა), რადგანაც დამტკიცდა, რომ ის განხეთქილებას ახდენდა რუს და ქართველ მოწაფეთა შორის..

—

როგორც მკითხველებმა უწყიან, საქართველოს საგუბერნიო სამსართოსმა ნება არ მიცა სამღვდელოებას საერთო კრება მოეხდინა, მაგრამ, როგორც გადმოგვცემენ, მღვდლები, რომლებიც ხედავენ, რომ მათ ხალხში ნიადაგი თან და თან ეკარგებათ, მაინც მეცადინეობენ სამღვდელოების კრების მოხდენას თფილისში.

—

ადგილობრივ გაზეთებს ქუთაისიდან ატყობიებდენ, რომ შავი ქვის მრეწველთა საბჭოს წევრები გამოემგზავრენ თფილისში, რათა მთავარ-მართებელთან იშუამდგომლონ იმის შესახებ, რომ ჰიათურაში გაგზავნილი ჯარი ისევ უკან დააბრუნონ.

—

ბაქოს ქალაქის საბჭოს ამოურჩევია დეპუტაცია, რომელიც უნდა გაიგზავნოს პეტერბურგში სხვა-და-სხვა მოთხოვნილებათა წარსადგენათ სამინისტრო საქმეთა მინისტრის წინაშე და სხვათა შორის მონაწილეობის მისაღებათ ბულიგინის კომისიაში.

—

ბათუმის ქალაქის მოურავი დეპეშით იტყობინება: საქონლის გადატან-გადმოტანა დაბრკოლებული იყო იმის გამო, რომ რკინის გზა არ აკმაყოფილებდა საქონლის მტვირთავ მუშათა არტელის მოთხოვნილებას. ახლა რკინის გზა და არტელი შეთანხმდენ, და 11 ამ თვიდან მუშაობას შეუდგებიანო.

—

თფილისის თავად-აზნაურობის კერძო კრებაზე არჩეული კომისია, რომელიც ქართლში უნდა გამგზავრებულიყო ადგილობრივ-გლეხების მოძრაობის გამოსარკვევათ, იქ აღარ წავა, რადგანაც გორის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისგან დეპეშა მიუღია; წინამძღოლი იტყობინება, რომ კომისიის სოფელ-სოფელ სიარული ნაყოფს ვერ მოიტანს, და ამიტომ გირჩევთ, მანდ გაჩერდითო.

—

დუშეთის მაზრის რამდენიმე სოფელში გლეხებს ყრილობა მოუხდენიათ თავიანთ საჭიროების გამოსარკვევათ.

—

გაზ. ,,კავკაზში'' გამოცხადებულია: მთავარ-მართებლის მოადგილის ნებადართული თფილისის ვაჟების მეორე გიმნაზიის მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე და მერვე კლასები და ლეარუხი სასწავლებლის მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე კლასები დაიკეტება. და ამ კლასის შეგირდები დათხოვნილ იქნენ. მოსამზადებელი და პირველ ოთხ კლასებში მეცადინეობა დროებით შეჩერებულია.

—

გაზ. ,,კავკაზში'' დაბეჭდილია შემდეგი ოფიციალური განცხადება: თანახმათ მინისტერთა კომიტეტის განკარგულებისა საომარ დროის წესები შემოღებულ უნდა იქნას მთელ ქუთაისის გუბერნიაში და აგრეთვე ქ. ქუთაისს, ფოთსა და ბათომში. ყველა ამ ადგილებში გენერალ-გუბენატორობის უფლება ენიჭება გენ.-ლეიტ. თ-დ ჯამბაკურ-ორბელიანს.

—

ქ. ვარშავაში 8 მარტს ვოლსკის ქუჩაზე, უმშვარა ესროლეს სადარაჯო რაზმს, რომელიც იქვე მადიოდა. მძიმედ დაიჭრენ ვდადიმირის პოლკის სალდათები იგნატიევი, ბობლინკოვი, ბრიტკოვი და კრუგლოვი, გორდოვოა იაკოვლევი, კოსტელოვი და ტეხონინი ყანდარმა; გაიკურა მეორე ყანდარმი და შემთხვევით იქვე მიმავალი ფოსტის მოხელე. დამნაშავენი მიიმალნენ. დაჭრილები უიზდოვის გოსპიტალში მოათავსეს.

—

5 მარტს ჭუხრანში თავი მოიყარა 3, 000 კაცმა და

მთავრობისაგან გამოგზავნილს თ. ჯანდიერს წარუდგინა თავისი მოთხოვნილებანი. ხალხის მხრივ ამორჩეული პირები—დეპუტატები—ლაპარაკობდენ. ამ მოლაპარაკებას დაესწრო თ-დ მუხრანსკის მოურავი ვას. მირიანაშვილი. ამის შემდეგ, 8 მარტს მირიანაშვილი დუქანში შეხვდა ერთ დეპუტატთაგანს,—შავხაშვილს და რევოლვერით იწია მაზე, მერე თავის მსახურს გაალახვინა იგი. ეს ამბავი რომ შეიტყო ხალხმა მეორე დღესვე მოიყარა თავი თ-დ მუხრანსკის სახლთან, სადაც მოურავი ეგულებოდათ. მაგრამ მოურავმა დროზე უშველა თავს და საცალო გადაიკარგა. ყოველ მხრიდან დაკეტილ სახლს ხალხმა დაუშინა თოფები და ქვები და ფანჯრები ერთიანათ ჩალეწა (,,ივერია'')

—

ქუთაისიდან ჩვენ შემდეგს გვწერენ: ესეცაა გადავიკითხეთ «მოგზაურის» უკანასკნელი ნომერი და ძალიან გვეწყინა, რომ აქაც ისე დამახინჯებით აწერილია ქუთაისში 14 თებერვალს მომხდარი ამბები, როგორც სხვა გაზეთებში. რადგანაც 14 თებერვალს ჩვენ დილიდან საღამომდი ქუჩაში ვიყავით და ყველაფერს ჩვენი თვალით ვუყურებდი, გვინდა უტყუარი ცნობები მოგაწოდოთ.

14 თებ. გიმნაზიელებს და რეალური სასწავლებლის მოწაფეებს სასწავლებლების კარები დაკეტილი დაუხვდათ. ამის გამო მრავალრიცხოვანმა მოწაფეებმა მოიყარა თავი სასწავლებლების კარებთან. კარები ძალიან გაუღეს და მოწაფეები ჯგუფათ გამობრუნდენ სასწავლებლებიდან ფოსტასთან გიმნაზიელები და რეალური სასწავლებელის მოწაფეები ერთმანეთს შეხვდენ და ერთათ გაემართენ ბულვრისაკენ, სადაც იმათ შეუერთდენ სამაზრონო სკოლის მოგარდები. როცა დემონსტრანტები ქალების გიმნაზიას უახლოვდებოდენ, რამდენიმე ცხენოსანმა კაზაკმა მოსპრა ერთი ჯგუფი მოსწავლეებისა და დუქანში დაამწყვდია. ის იყო უნდა დაეწყოთ თავისი მხეცური ხელობა, მაგრამ გაჩნდა პოლიცმეისტერი და დიდი ვაი ვაგლახით იხსნა მოსწავლეები გამამრახებისგან. მალე მოვიდა გუბერნატორი, დირექტორები ბაბანსკი და ხებიში. პოლიცმეისტერის შუამდგომლობით მოსწავლეები გაათავისუფლეს.

შუადღის პირველ საათზე ბაკოში დახოცილების პატივსაცემათ სომხების ეკლესიაში პანაშვიდი გადაიხადეს. პანაშვიდს დაესწრენ მოსწავლეებიც. პანაშვიდის შემდეგ მოსწავლეები სიმღერით ბულვარისკენ გაემართენ. აქ იმათ შეუერთდა მოსეირნე ხალხი. ვიღაცამ ჰაერში რევოლვერი ისროლა, ამ დროს მოისმა ცხენების თქარა-თქური და რამდენიმე კაზაკი შემოერტყა ბულვარს, მარა კარების დაკეტა მოასწრეს და კაზაკები ისევ პირღია დარჩენ. ხალხი მშვიდობიანათ დაიშალა ნასადილევს ბულვარს მიადგა გაჯავრებული იყო მოსეირნეებით, რომლების შემრავლებამაც მოსწავლეები შეადგენდენ. ასე ხუთ საათზე ბულვართან რამდენიმე ფაიტონმა ჩაიარა. შიგ ისხდენ მოსწავლეები. თუმც მხიარულობა ეტყობოდათ, მარა არაფერი უწესებია არ ჩუდენიათ. გაიარა ერთმა ფაიტონმა, მეორემ და უცბათ ჩვენ თვალებს გულის შემზარავი სურათი წარმოუდგა: ერთ ფაიტონს შემოხვეოდა ათამდე კაზაკი და უწყალოთ ცემდენ შიგ მჯდომ მოსწავლეებს. მოსეირნე ხალხმა ერთ წუთს უკან დაიწია; სურათი იმდენათ ამაღელვებელი იყო, რომ ჩვენ ვერ მოვითმინეთ და მივვარდით კაზაკებს; ვიფიქრეთ იქნება ხვეწნით გავხდეთ რამეო. სანამ ჩვენ ვეხვეწებოდით იქვე ჩნდა ნაფიცი ვექილი მოსე ქიქოძე და პრისტავი ჩაჩავა. ორივე მივარდენ კაზაკებს და თხოვეს თავი დაენებებიათ საბრალოებისთვის, მარა კაზაკებმა უპასუხეს: Вы намъ мѣшаете, мы застрѣлимъ васъ»-ო და თოფები დაუმიზნეს. ამ დროს ვიღაცამ ქვა ესროლა კაზაკებს; პირველი ქვა და პირველი ტყვია კაზაკებისა ერთათ გავარდა; პირველ ტყვიას სხვა ბევრიც მოყვა, კაზაკები განურჩევლათ ესროდენ სულველას. ერთი ქალი გაჩერებული იყო მაღაზიის კარებთან; ტყვიამ, სწორეთ გვერდთან გაუარა და კაბა გაუგლიჯა. საწყალი ერთი პრიკაზჩიკი მაშინ მოკლეს, როცა კარებს კეტავდა. ხარაზი ხაბურძანიას გული გაუგმირეს, როცა დუქანში იჯდა და თავის საქმეს აკეთებდა; მარა ყველაფერი ეს შედარებით არაფერია იმასთან, რასაც ჩადიოდენ კაზაკები ღამის 9—12 საათამდის. ერთი მედვირე გაცარცვეს და იმდენი ცემეს, რომ ახლა სისხლიანს ექცრთხებს და მგონი კიდევაც მოკედა. ვიღაც სტოროჟს თითი წაპრეს, რამდენიმე კაცს ას მანეთამდე ფული წაართვეს, საათებს ხომ ჭოველაც არა აქვს. რამდენიმე მოსწავლე დასახიჩრებულია.

კორრესპონდენციები.

—

დ. ყვირილა. როგორც სხვაგან, აქაც შეიგნო ხალხმა, რომ ძველებურათ ცხოვრება შეუძლებელიაო, რომ თავის თავს ბატონობა მანგე უნდა გაუწიოს, რათა მის ცხოვრებას ადამიანური ცხოვრება დაერქვას; წინეთ მისთვის გაუგებარ საგნებზე ახლა შეგნებულათ დაბარაკობს და გაბედულათ იხოლობს სხვა-და-სხვა უფლებებს; თან და თან წევეტს კავშირს ადმინისტრაციასთან და თავისს საქმეების მოწესრიგებას თვითონ კიდებს ხელს. 14 თებერვალს აჭურმა მოგვკრეებმა მაზრის უფროსს განუცხადეს, რომ დაბის მოგდისთვის დღეის შემდეგ თავს ნუ შეაწუხებს პოლიცია, ჩვენ თავს თითონ ჩვენ დავიცავთ და ჩვენვე ვიზრუნებთ თავის საჭიროებებზეო. 13 თებერვალს ნოქრებმა და მცირე წყობის შეკრდებმა აგვეთეს მუშაობა და მოითხოვეს გვირა-უქმე დღეებში სულ დაკეტვა დუქნებისა, რაც მეორე დღეს სისრულეში მოაყვანეს ადებმა. 21 თებერვალს დილით სამოქალაქო სკოლის მოსწავლეებმა თავი მაინებეს სწავლას, თავიანთი მოთხოვნილებანი წარუდგინეს სკოლის მთავრობას და გაემართენ სხვა სკოლებისაკენ. მიეადენ სამოქალაქო სკოლის მასამზადებელ კლასებთან, გათავისუფლეს მოსწავლენი სწავლისაგან და შეეროვნენ. სხვა სკოლებამდის ვერ მიაღწიეს, რადგან ბოქაულმა სტრაჟნიკებით გადაულობა წინ და დაიშალენ. სწავლა აგრეთვე ქალების ბრაგომნაზიაში. სამოქალაქო სკოლაში ახლაც შეწყვეტილია სწავლა. სოფლებში ადმინისტრაციასთან კავშირი გაწყვიტეს. 4 მარტს დაწყვეს შორაპნის საზოგადოების კანცელარია, ნ-ს კლდეეთის საზოგადოებისა, ნ-ს ბოსლევისა და საქარის. 5 მარტს დაწყვეს კვლითის კლესიის და სკოლის კისლამ ამისხვერდა ცეცხლმა.

სალი.

—

დაბა ხონი. არა ერთხელ აღნიშნულა გაზეთის ფურცლებზე ხონის და ხონელების დაჭვეთება და უკან ჩამორჩენა. ვინ არ იცის, რომ დღემდის აქ სამღვდელი პატიოსანი და საზოგადოებისთვის სასარგებლო პირნი მაგნე პირებათ იყვენ აღიარებული, და პირიქით მაგნე და საზოგადოების მოდალატე პირები კი, საზოგადო მოღვაწის სახელს ატარებდენ! მაგრამ დღეს კარემოება შეიცვალა; საერთო მოძრაობამ დიდი გავლენა იქონია ხონზე, და აი დღეს ხშირათ გაისმის: დაბადი ერთობაზე, ძმობაზე და სიყვარულზე; ხონელები დღეს განურჩევლათ დაბადებენ ადამიანობაზე, თავისუფლებაზე. ერთი სიტყვით ხონის საზოგადოება დღეს გამოეხმიზდა და სხვებთან ერთად ისიც იკვლევს გზას მომავლისკენ! სხვათა შორის, აღგილობრივი გაზრები და ნოქრები შეიკრიბენ და დაადგინეს: 1) ოთვედ კვირა-უქმე დღეებში დაიკეტოს ოთვედგვარი სავაჭრო და სახელოსნო დუქნები, გარდა სამკითხოებისა, საეკლესიებისა და მეჯვრეებისა, დილის 9 საათიდან მეორე დღის დილის 8 საათამდე. 2) ნოქრებისთვის და ხელოსნებისათვის შემოდებულ იქნას დღე დამეში 11 საათის მუშაობა. ხონის ხელოსნებმა დღემდე არ იცოდენ რა იყო მოსვენება, რადგანაც დღე-დამეში მუშაობდენ 18—19-ს და ხშირათ 20 საათსაც!

— ამ რამდენიმე დღის წინათ ხონში ერთმა ჯიბგირმა ამოაცალა გლეხს ჯიბიდან გაუადგილ ხარის საფასური 80 მანეთი. ჯიბგირი მაშინვე დაიჭირეს და ხალხმა იგი თითონ გაასამართლა: ჯიბგირს ხელში დაჭერიეს მოპარული ფული, ჩამოატარეს მთელი ბაზარი და თავისი პირით აათქმევინეს: „მე ვარ ქურდი, რომელმაც ჩემთა ა, ამ გლეხს ამოაცალე ჯიბიდან ხარებში ანადები 80 მანეთი!“-ო.

— 28 თებერვალს ბოროტ-გამძრახველებმა დასჭრეს ხონელი მელვინე მახაგაძე, ბოროტ მოქმედნი ხალხმა დაუეონებლივ და-

ჭირა და მას ახლა მომავალში საზოგადოების-მიერ ამორჩეულნი ბერნი გასამძღოლებენ, სამოქალაქო სასწავლებელში და ქალების სკოლაში სწავლა შეწყვეტილია, მხოლოთ დასარჩენი სკოლები განაგრძობენ მეცადინეობას! წასულ თვეში ხონის სამოსწავლებლო სემინარიის შეგირდებმა ბრძოლისტა გასუცხადეს დირექტორს მისი შეგუსაბამო საქციელის გამო. როგორც ამბობენ დირექტორი თურმე ცოტა წვერ-ულვაშიან შეგირდებს, ამ შეგირდებს, რომლებიც ორი-სამი თვის შემდეგ მასწავლებლები უნდა გახდნენ.

ილია ბახტაძე.

გურიის ამბები.

—

სოფ. ახკანა. 25 თებერვალი. ერთგვარი გასაჭირი დაახლოებით ერთგვარათ გამოითქმება და გამოიხატება. არამც თუ მარტო ასკანის საზოგადოებას და გურიას, მთელ რუსეთის დაბეჩავებულ ხალხს ერთი სატკივარი აკენესებს და ერთგვარი გასაჭირი ტანჯავს. ამიტომაც ასე ერთხმათ ღაღადებს საზოგადოება ყველგან, სადაც მთავრობის მოხელე სულთან-კრიმ-გირეი მიდის; ყველგან ერთსა და იმავე მოთხოვნილებას ადგენს, ერთი მიზნისკენ მიისწრაფვის.

ასკანა ბასილეთისა და ბახვის საზოგადოების შუა, აჭარა გურიის მთის კალთებზე ძევს. მიწის სივიწროვე და სიმცირე, გზების უქონლობა, და მრავალი სხვა ამგვარი მიზეზები უთუოთ ასკანელებსაც აგრძნობინებდა ცხოვრების სიმძიმეს. რა ქნას მართლა თუნდაც მარჯვე, შრომის მოყვარე და მკლავ ღონიერმა გლეხმა, რომელსაც ორი ქცევა ეწერი, უნაყოფო მიწა, ერთი ღორი, ერთი ძროხა და ამასთან შვიდი სული სარჩენი და მრავალი გადასახადი აწევს კისერზე? ძნელია ამგვარ პირობებში ოჯახის გაძღოლა, მაგრამ შვილებს ყელს ხომ არ გამოსჭრის და გადაყრის? იძულებულია ებრძოლოს ცხოვრებას, დღიან-ღამიანა იშრომოს, და თავისი ტანჯული ოჯახი ნახევრათ მშიერი აბოგინოს. ამიტომ გასაკვირი იქნებოდა გურიის საერთო მოძრაობას ასკანა ანუ სხვა რომელიმე საზოგადოება გამორჩენოდა.

25 თებერვალს მთელ საზოგადოებას ქალიან-კაციან-ბავშვიანათ სკოლის მოედანზე მოეყარა თავი, რომ თავისი თვალით ენახა მთავრობის წარმომადგენელი, მათთან მოსალაპარაკებლათ მოსული და გაეგონა ის, რასაც საზოგადოება უპასუხებდა. აქვე უნდა დავძინო, რომ ხალხი საზოგადოთ გულ-ცივათ უხვდება ყოველგვარ წარმომადგენელს მთავრობისას, რადგანაც მრავალი წლის გამოცდილებით იცის, რომ იმათგან ხეირი არ არის. „რა უნდა გაგვიკეთოს მაგანო!“ „მაგას თვეში ათასი მანათი ჯამაგირი ექნება და ჩვენს გასაჭირს რას მიხვდებაო“, ამბობდენ აქ-იქ.

საზოგადოებამ ამოარჩია თოთხმეტი დეპუტატი, და მათ მიანდო საზოგადოების სახელით ლაპარაკი. დეპუტატებმა შევნიერათ დაასურათეს, არამც-თუ მარტო ასკანის, მთელი გურიის გლეხ-კაცობის გასაჭირი და აქა-იქ რუსეთის მოძრაობასაც შეეხენ, თუმცა სულთან-კრიმ-გირეი, ხშირათ ახსენებდა: «თქვენ მხოლოთ თქვენი საზოგადოების შესახებ მელაპარაკეთო».

დეპუტატებმა ილაპარაკეს შრომის ექსპლოატაციაზე, მიწის სივიწროეზე: „რომ დავწევები თავი სხვის მამულში მაქვს და ფეხები კიდევ მეორისაშია». ჩვენი შრომის ნაყოფი თითქმის ხელ-პირათ მემამულეს მიაქვს და ჩვენ ალარაფერი გვრჩებაო. როდესაც ჩვენ ჩვენს გასაჭირზე ავლაპარაკდით, მთავრობა დახმარების ნაცვლათ მოგვესია და სულ აგვაწიოკა. ის პირდაპირ, ცხადათ მიუდგა მემამულეებს და ჩვენ თხოვნას მხოლოთ ის ყურადღება მიაქცია, რომ ციხეში ჩაგვყარა და გადაგვასახლაო.

ამიტომ მოითხოვეს: სახაზინო, საეკლესიო, სამონასტრო და საუფლისწულო მამულები ხალხს დაურიგდეს. დაურიგდეს იმიტომ, რომ არც ერთი ეს მესაკუთრეები თითონ არ მუშაობენ და სხვისი შრომით სუქდებიან. მიწა იმისი უნდა იყოს, ვინც მას თავისი ოფლით ასველებსო. თავდაუხსნელი გლეხები რომ არიან ყველანი თავისი მიწით განთავისუფლდენ უფასოთ, რადგანაც ის მიწა მისია და გამოყიდვა უკანონობა იქნება. ვინც ნასესხები ფულით გამოიყიდა თავისი საკუთარი მიწა და თავი გაინთავისუფლა, იმას დაუბრუნდეს უსამართლოთ წართმეული ფულები. ის მიწები, რომლებსაც სახაზინო გლეხები ამუშავებენ და რომლის მოხმარაც თავის დროზე არ შეუძლიათ, საკუთრებათ გადაეცეს, ისეთ საკუთრებათ, როგორც კერძო მესაკუთრე გლეხებსა აქვთ. იმას უნდა შეეძლოს საჭიროების დროს იმის გაყიდვა, დაგირავება თუ სხვა რამე.

აისგვარი გადასახადები რომ გვაწევს კისერზე და ჩვენ კი არაფრის მქონე არა ვართ, რით უნდა გადავიხადოთ? ნახეთ კანცალარიაში ჩვენი ნივთები! განა ისინი შინ არ გვჭიროდა? გვჭიროდა, მარა ფული რომ არ გაგვაჩდა ისინი გამოახაბაკეს. ჩვენ ალარ შეგვიძლია ამდენი გადასახადების ზიდვა და ის უნდა მოისპოს. გადასახადი მხოლოთ იმან გადაიხადოს, ვისაც წლიური შემოსავალი 500 მანათზე მეტი ექნება და რაც მეტი ექნება იმდენი მეტი გადაიხადოს. ახლა მდიდრები თურმე არაფერს არ იხდიან.

აგრეთვე აუტანელია ჩვენთვის ეს ბაჟები. ყველაფერზე ბაჟი ყოფილა დადებული: არაყზე, ნავთზე, თუთუნზე, ჩაიზე, შაქარზე, სპირტზე და ვინ მოთვლის კიდო რაზე. ეს ბაჟები უნდა მოისპოს, რომ ჩვენ შეგვეძლოს ამ უსაჭიროესი საგნების შეძენა.

როცა ჩვენი ჭკუა ბნელი იყო, ჩვენ ხუცებს ძალიან ვენდობოდით. ახლა შევიტყეთ და თვალით დავინახეთ იმათი სისაძაგლე და გარყვნილება, ისინი თურმე ჩვენი გონების სიბნელით სარგებლობდენ და ტყავს გვაძრობდენ. ის კი არა, ჩვენ რომ თვალი არ აგვხელოდა და მათი საქმე არ დაგვენახა, ამისთვის განზრახ გვიბნელებდენ გონებას, თავისი მონური მორჩილების ქადაგებით. ახლა ჩვენ ალარ ვენდობით ჩვენ მღვდლებს და ვაცხადებთ, რომ იმათი შენახვა იმან იკისროს, ვისთვისაც მათი ლოცვა-კურთხევა საჭირო არის. ეკლესია უნდა ჩამოშორდეს სახელმწიფოს. ალარც ის გვინდა, რომ ჩვენი შვილების აღზრდაში ეს მატყუარა ფარისევლები იღებდენ მონაწილეობას. ისინი აბნელებენ ბავშვის ნათელ გონებას და მოჭალაჭის, თავისუფალი მოჭალაჭის ნაცვლათ მონებათ გვიზრდიან.

ჩვენ, გლეხ-კაცობა, ქვეყნის მარჩენალი, მოგვიგდეს ბოლოში. ზევით წამოსკუპდენ თავადები, აზნაურები და სხვები. რატომაა ეს? გლეხებმა რატომ უნდა არჩინონ ეს მუქთახორები? გლეხებს შრომა და ტანჯვა—იგენს ბატონობა?! ჩვენ მოვითხოვთ, რომ ეს წოდებები მოისპოს. არ იყოს არც თავადი, არც აზნაური და არც გლეხი. ყველა კაცი ერთია, ერთნაირი ცხოვრება უნდა. წოდებები უნდა მოისპოს და კანონის წინაშე ყველა კაცი თანასწორი უნდა იყოს.

ჩვენ არ შეგვიძლია ერთათ თავის შეყრა და ჩვენს გაჭირვებაზე თავისუფლათ ლაპარაკი. არ შეგვიძლია ჩვენი გაჭირვების დაწერა, რომ მთელმა ქვეყანამ გაიგოს ჩვენი ამბავი. ეს ასე ალარ შეიძლება—უნდა მოგვეცეს კრების, სიტყვის და ბეჭდვის თავისუფლება. ჩვენი ბინა და პიროვნება ხელშეუხებელი უნდა იყოს. უნდა შეგვეძლოს საცა გვინდა იქ

ვიცხოვროთ. ეს პასპორტები რა მოხელეა? ცხენები ხომ არა ვართ—დაღებს გვარტყამენ? მაშასადამე, ეს პასპორტები ჟნდა მოისპოს და კაცს ცხოვრება შეეძლოს.

რომ მოგდგებიან ეს პოლიციელები და კაზაკები და მართალს თუ მტყუანს ყველას ცემენ, სახლს აუწიოკებენ, რატომ არის ეს ასე? მართალი და მტყუანი არ უნდა გაირჩეს? კაცის პიროვნება არ უნდა შეილახოს, ის თავისუფალი უნდა იყოს. ჩვენ მოვითხოვთ პიროვნების და ბინის ხელ-შეუხებლობას, გაფიცვის თავისუფლებას. ეს ხომ ცხადია, როცა მემამულეების ადგილში მუშაობაზე უარი ვთქვით, მთავრობამ ძალა დაგვატანა, გინდა თუ არა იმუშავეთო. ეს რასა გავს?

ჩვენ სწავლა გვინდა, საშვალებას მოკლებული ვართ. გაღატაკებამ სული ამოგვართვა. რა ვქნათ? სხვაგან თურმე სწავლა სავალდებულოა და ამასთან უფასო. ჩვენც ასე ვთხოულობთ: 16 წლამდე სწავლა ყველასათვის სავალდებულო იყოს ქალისა და ვაჟისათვის თანასწორათ, მარა უფასო, ამასთანავე, უფრო მაღალი სწავლის მიღება, უფრო ადვილი უნდა დარჩეს ახლანდელზე.

ჩვენ სამართალი ხომ აღარ გვაქ. ეს რამდენი ხანია უსამართლოთ ვიტანჯებით. სამართალი იმათია, ვისაც ჯიბეში ფული აქვს. გაჭირვებული კაცი ყოველთვინ მტყუანი გამოდის. ამისთვის ჩვენ ვთხოულობთ, რომ მოსამართლეები ხალხის ამორჩეული იყოს და ამასთანავე ნაფიცი. ყველა მოქალაქეს უფლება უნდა ქონდეს მოხელე სამართალში მიცეს დანაშაულობისათვის. ახლა, პოლიციის მომჩივანი, რაც უნდა მართალი იყოს, მაინც თითონ დაისჯება.

სალდათობა რომ ხალხს ღუპავს ეს ყველასთვის გასაგებია. მარა ყველა ვერ გრძნობს ამ გასაჭირს. მღრღნის შეუძლი. მოიყიდოს დოხტური, მაჩმალი და სხვა ჩინოვნიკები და განთავისუფლდეს. საწყალ კაცს სად შეუძლია აგი და აქ ე მიყვეთ ჯერ ერთი მუშა ხელი გვეკარგება, მეორე კიდო შესანახავ გვირჩება. იქ არც აჭმევენ, არც ასმევენ და არც ტანზე აცმევენ. მერე წვიყვანენ საცხა და ჩაკლავენ. ამას ყველას გაუძლებს კაცი, მარა თურმე უბედურობა სხვა ყოფილა. ჯარი ჩვენ ჩვენს დასაფარაჯათ გვეგონა გაჩენილი და ასე კი არ ყოფილა. თურმე ისინი ჩვენ დასახოცათ მიყავთ. ქვერ პეტერბურგში მუშები დაწყვიტეს, აგერ ჩვენ მოგვისიეს ეს კაზაკები თუ რაცხაა. ჩვენ ვთხოულობთ ამ სალდათობის მოსპობას. ჯარი ჩვენ არ გვჭირია. თუ ქვეყნის დაფარვა იქნება საჭირო მაშინ ჩვენ თითონ ვიჩხუბებთ. სალდათობა უნდა მოისპოს. ფულიც ბევრი იხარჯება მის შენახვაზე და კაციც ბევრი ცდება საქმეს. ოზურგეთში, რომ ჯარი მოგვაყენეს, იგი შინ წაიყვანონ ჯობია. ჩვენ საჩხუბარი არაფერი გვაქ.

ამასთანავე მოვითხოვთ, რომ ადმინისტრაციის ნებით გადასახლებული ჩვენი ძმები უნდა დააბრუნონ შინ. იგინი ჩვენი გულისთვის დეიტანჯენ უდანაშაულოთ.

ახლა რაფერ შეგვიძლია ჩვენ იმ მთავრობას ვენდოთ, რომელმაც ასეთ უზომო გასაჭირში ჩაგვყარა? ჩვენ მოვითხოვთ, სახალხო დამფუძნებელი კრების მოწვევას. ხალხმა უნდა ამორჩიოს თავისი წარმომადგენელები, რომლებსაც ენდობა და იმათ მიანდოს თავისი საქმეების მოწეს-რიგება. დეპუტატების არჩევაში ყველამ უნდა მიიღოს მონაწილება ეროვნების, სარწმუნოების მდგომარეობის და სქესის განურჩევლათ. კენჭის ყრა უნდა მოხდეს ფარულათ.

აი ჩვენი უმთავრესი მოთხოვნილებანიო, დაასრულეს დეპუტატებმა. ჩვენ ახლა ველარც მოგვატყუებენ და ვერც შეგვაშინებენ. ან სიკვდილი ან გამარჯვება.

—

ჯვარცხმის საზ. ჯვარცხმის საზოგადოება მომწყვდეულია ერკეთის, ბასილეთის, ამაღლების და ფარცხმის საზოგადოებებს შუა. ადგილ-მდებარეობა უმეტესათ ვაკე, სწორე აქვს. ნიადაგი მწირი, უნაყოფო. ხიდისთავიდან ჩოხატაურში მიმავალი გზა ზე შუაზე გადაჭრის ჯვარცხმის საზოგადოებას.

აი ამ გზის პირათ, იქ სადაც „ხელ-ფეხიანი“ მუხა დაყუდებულა, ორი შენობა დგას: ერთი უფრო მოზრდილი და შეღებილი—ორ-კლასიანი სკოლის შენობა გახლავს, მეორე უფრო პატარა და ბნელი—სასოფლო სასამართლო.

იქვე გზის პირათ დაყუდებულ უზარ-მაზარ მუხას დღესაც „ხელ-ფეხიან“ მუხას ეძახიან. როგორც ერთმა მოხუცმა აგვიხსნა, ეს სახელი თურმე აი როგორ წარმოდგა: ბატონყმობის დროს, როდესაც მოსამართლე მებატონე იყო და გლეხი კაცი ანუ ყმა—ჯბრალო პირუტყვს ეთანასწორებდა თავისი უფლებებით, უბრალო დანაშაულობა საკმარისი იყო „მართლ მსაჯულ“ მებატონეს ყმისათვის ფეხი ან ხელი მოეჭრა. ეს სხვების გასაფრთხილებელი ზომა იყო და რომ მეტს ხალხს ენახა მოჭრილი ხელი ან ფეხი, თურმე, აი ამ მუხის ტოტზე კიდებდენ. აქედან წარმოდგა სახელი „ხელ-ფეხიანი“.

ამ მუხის ქვეშ პატარა მოედანზე ათასამდე ქალსა და კაცს მოეყარა თავი. ყველა მხიარული და სახე-ნათელი მოჩანდა. დღეს უნდა მთავრობის წარმოგზავნილ კაცთან მოელაპარაკნათ. ჯერ რამოდენიმე პირმა განუმარტა ხალხს მთავრობის მიზანი და ხალხის საჭიროება. რა უნდა მოეთხოვათ ცხოვრების გასაუმჯობესებლათ. მალე კრიმ-გირეიც მოვიდა და ჩვეულებისამებრ ხალხს მიესალამა. საზოგადოებამაც თავაზიანათ უპასუხა. შემდეგ წაკითხულ იქნა გირეის მოწოდება, რასაც ხალხი გულ-გრილათ მიეგება.

საზოგადოებამ ამოირჩია თექვსმეტი დეპუტატი და მათ მიანდო ლაპარაკი. საზოგადოთ აქაც იგივე მოთხოვნილებანი წარადგინეს, რაც ყველგან სხვაგან. მთავარი მუხლები ერთი და იგივეა. დაიწყეს მიწის სივიწროიდან. ერთმა დეპუტატმა, მამასახლისათ, ნამყოფმა თქვა: „როდესაც ნახევარი მოსავლის ძღევა გლეხისთვის საზარალო დარჩა და მემამულეებმა კი არა დაუკლეს რა, მაშინ იძულებული გავხდით მემამულის მიწაზე მუშაობა აგვეკვეთა. ბატონებმა მიმართეს მთავრობას. მთავრობამ შეკრიბა ხალხი და 15 დეპუტატი ამოარჩევია. როდესაც დეპუტატებმა თავისი სატკივარი გაამხილეს, ისინი გალანძღეს, მათრახით გვცემეს და ციხეში გაგზავნასაც კი შეგვპირდენ. მაშინ, როდესაც ჯაფარიძე უბრძანებდა სტრაჟებს: „დაკარით, დაკარითო“, პრისტავი კვიტაშვილის ცოლი შეეხვეწა: „ნუ ცემთ, ცოდვა არიანო“, მაგრამ გრძნობიდან გამოსულ კაცს რაღას შეასმენდა“.

ბ-ნ კრიმ-გირეის ძლიერ ეუცხოვა ეს მოვლენა: „ქალის თხოვნა როგორ დატოვეს უყურადღებოთო“. და მართლა ხალხის გამათრახება ნება დართულია, მარა მანდილოსანის თხოვნა? აქ საქმე უთუოთ „პრინციპზეა“ და ხასიათის სიმტკიცე უბრალო საქმე როდია.

შემდეგი მოთხოვნილება საზოგადო ხასიათისა იყო, როგორც მოგახსენეთ. სახელდობ:

1. მესაკუთრე გლეხებისათვის უსამართლოთ წართმეული ფულების დაბრუნება.

2. დროებით ვალდებულთა განთავისუფლება უფასოთ, თავის ნაделიანათ.

3. სახაზინო გლეხების ნაделების საკუთრებათ გადაცემა.

4. საეკლესიო, სამონასტრო და საუფლისწულო მამულების ჩამორთმევა.

5. გადასახადების შემოსავლის კვალობაზე გაწერა. 500 მანეთზე ნაკლები შემოსავლიანი ოჯახების განთავისუფლება.

6. ფარული გადასახადების და ბაჟების მოსპობა.

7. ეკლესიის გაშორება სახელმწიფოსაგან.

8. სავალდებულო უფასო სწავლა 16 წლამდე.

9. სიტყვის, ბეჭდვის, კრების და გაფიცვის თავისუფლება.

10. პიროვნების და ოჯახის ხელ-შეუხებლობა.

11. პასპორტების მოსპობა.

12. მუდმივი ჯარის მოსპობა.

13. ნაფიცი მოსამართლეები და სახელმწიფო მოხელეთა პასუხის გება.

14. ადმინისტრატიული წესით გადასახლებულთა დაბრუნება.

15. დამფუძნებელი კრების მოწვევა.

ყველა ეს მუხლები ჯეროვანი მჭერმეტყველებით გადაცეს დეპუტატებმა თარჯიმანს.

მოლაპარაკების დასასრულ სულთან კრიმ-გირეის წარუდგა აზ. ლადიკო ბერიძე და მოახსენა, რომ კერძოთ მე, როგორც მამულის პატრონს, მინდოდა გლეხთა მოთხოვნილება დამეკმაყოფილებია, მარა მთავრობამ ძალა დამატანა და უარი მათქმიარ.

ბოლოს ხალხს გამოეცხადეს: კერძო საჩივრები ვისაც გაქვთ, შეგიძლიათ მოხვიდეთ და პირადათ მოახსენოთო, მარა მსურველი არავინ გამოჩდა.

ამგვარივე მოთხოვნილებები წარადგინა ერკეთის საზოგადოებამაც 1 მარტს. ყრილობას 2000 კაცი და ქალი დაესწრო. ხალხის აღფრთოვანება და სულიერი განახლება ყველგან ერთგვარია. ყველას სახეზე თავ-განწირვის სურვილს ამოიკითხავ. ეს ხალხი სრულიად ალარ გავს იმას, რაც ერთი წლის უკან მინახავს. წვერ-თეთრა მოხუცი და ულვაშ-ამწვანებული ჭაბუკის გული თითქმის ერთნაირი მოუთმენლობით ძგერს. ცხოვრება იცვლება. გარდამავალი ხანაა.

—

ᲓᲐᲑᲐ ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲘ, (ფარცხმის საზოგადოება), 28 თებერვალი. დილიდგანვე იწყო ხალხმა დენა, მიუხედავათ იმისა, რომ საქმის დღე იყო და მუშაობაზე დარიც ხელს უწყობდა. სკოლის მახლობლათ, სადაც სოფლის სასამართლო არის, ბლომათ საზოგადოებას მოეყარა თავი, მაგრამ, რადგანაც აქ მახლობლათ გურულებისთვის ზიზღის მომგვრელი ასიოდე კაზაკი არის დაბანაკებული, ამიტომ ხალხი მოშორდა სასამართლოს და იქვე ახლო კერძო, კაცის ეზოში ჩავიდა, სადაც მოლაპარაკება დაიწყეს იმის შესახებ, თუ რა სტანჯავს დღეს გურულებს და რა ეჭივრება მათ. მოლაპარაკების შემდეგ მოიწვიეს ბ-ნი კრიმ-გირეი, რომელიც მალე მოვიდა თავისი მხლებლებით. ჩვეულებისამებრ თარჯიმანმა წაიკითხა უკვე ცნობილი სალამი: „მოგეს სალმებით გურიის შვილნო“, რის შემდგომ ამორჩეულ იქნა 15 დეპუტატი. ამათ თავიანთ შორის კიდევ ამოარჩიეს ერთი, რომელსაც მიანდვეს ლაპარაკი და შეუდგენ მსჯელობას. კრებიდან არავინ არ გაუძევებიათ. დეპუტატებმა თავისი. სახელისა და გვარის ჩაწერაზე უარი განაცხადეს. დეპუტატების წარმომადგენელმა მიმართა ხალხს: ,,ძმებო! თქვენმა ამორჩეულმა დეპუტატებმა მე მოვანდვეს ლაპარაკი და გთხოვთ თუ მე რამე გამომრჩეს თქვენ დაუმატოთ“. ძალიან კარგია, ძალიან კარგია“,—დაიგრიალა ხალხმა.

ხალხ. წარ. თქვენ ბ-ნებო, კარგათ მოგეხსენებათ უთუოთ ჩვენი გაჭირება. ყოველი მხრით, საითაც უნდა გაექანოს მუშა კაცი, გასაჭირი ხვდება წინ, მარა უმთავრესი ჩვენი გასაჭირი მიწის უქონლობისაგან არის გამოწვეული. ჩვენ შეგვიძლია და გვსურს შრომა, მაგრამ ამისათვის არა გვაქვს მიწა. აი ამ უმიწობამ გვაიძულა ლუკმა პურის მოსაპოვებლათ სხვის ადგილში გვეშუშავნა. ჩვენც დაველრიჯეთ მემამულეს, იმ მემამულეს, რომელიც უსამართლოთ დაპატრონებია თვალ-უწვდენელ ადგილებს, ვთხოვეთ ადგილი მოეცა საყანეთ. იმან იცოდა, რომ გასაჭირი უზომო გვადგა და გვიდებდა ისეთ საშინელ პირობებს, რომლის შემდეგაც ჩვენ მხოლოთ ხელცალიერი ვრჩებოდით. ჩვენ ვაძლევდით მიწის პატრონს ნახევარ მოსავალს. კიდევ რაღაც ,,სალეჭრობოს“ ქცევაზე მანათს, კარგს სადღეს ბატონს და მოურავს და სხვ. რამოდენიმე წლის მაგალითმა დაგვარწმუნა, რომ ასეთ პირობებში მიწის მუშაობა შეუძლებელი, უსარგებლო იყო. ცხადათ ვხედავდით, რომ ჩვენი დღიან-ღამიანი შრომით ვიღაც მუქთა-ხორა მემამულეები ძღებოდენ, და ჩვენ კი მიმშილით კუჭი გვიხმებოდა. ახლა ჩვენ ისიც ვიცით, რომ მიწა ადამიანის გაჩენილი არ არის, რომ ის ბუნების შექნილია და ზოგიერთ პირებს რომ ამდენ-ამდენი შეუძენიათ, ეს ცარცვა-გლეჯით და ძალადობით შენაძენია. ჩვენი გაჭირვებული ცხოვრების გასაუმჯობესებლათ მივმართეთ იმ საშვალებას, რომელიც ჩვენ ხელში იყო. დავიწყეთ ერთმანეთში მოლაპარაკება და გადავსწყვიტეთ მემამულეების მიწებში აღარ გვემუშავნა. ასეთ პირის შეკვრას თურმე გაფიცვას ეძახიან და ამის დაგვარათ ჩვენც გავიფიცეთ. ჩვენ არ ვაპირობდით სხვის მამულში მუშაობის დაწყებას მანამდე, სანამ პატრონი შეღავათიან პირობებზე არ დაგვყვებოდა. სხვისი შრომით გაძღომას ჩვეულ მემამულეებს, რასაკვირველია, არ ეამებოდა ჩვენი გაფიცვა, რადგან მიწა უცდებოდა და არც დათმობა უნდოდა, ზოგიერთებს გარდა, რასაკვირველია. საქმეში პოლიცია ჩაერია. ჩვენ, უგუნურებს გვეგონა, პოლიცია მართალის მხარეზე დადგებოდა და შემწეობას ამოგვიჩენდა, მარა ჩვენი მოლოდინი საშინლათ გაცრუვდაა. მოვიდა პრისტავი კვიტაშვილი და ხელწერილი დაგვადებია, სხვის მამულში გვემუშავა ძველ პირობებზე, ე. ი. ისე, როგორც მამულის პატრონებს სურდათ. ვინც ხელწერილს არ დასდებდა, იმათ ნაობახში ამწყვევდენ. რამდენი მეტი დაგვარტყა, რასაკვირველია, ჩვენც იმდენათ მეტათ აგვეწვა და უფრო გაგვაბედვია ბრძოლა ჩვენ მტრებთან: მემამულესა და პოლიციასთან. ერთხელ პრისტავმა თავშიშველი გაგვაჩერა საშინელ მზეში დილიდან საღამომდე. გარშემო სტრაჟები შემოგვარტყა. მარა ჩვენ გასაჭირს აგი რას უშველიდა. ბოლოს აღარც ეს გვაკმარეს. მოვიდა ჯაფარიძე და დაგვამწყვდია- თუ ძველებურ წესზე მუშაობის თანხმობას არ გავაცხადებდით შინ აღარ გვიშვებდა. ერთხელ ეს აპრილში მოახდინა; ხელმეორეთ ასეთი საქციელი მაისში გაიმეორა. მაშინ გამოგლიჯეს ყრილობას რამდენიმე კაცი და სტრაჟებს გადასცა მართლ-მსჯულების გასაჩენათ. (ერთი დეპუტატი თითონ გალახულთაგანი გამოდგა და თავისი ენით ჩამოთვალა ყველა პატივის-ცემა, რაც ბ-ნი ჯაფარიძისაგან მიეღო).

ერთი სიტყვით ყველა გვჩაგრავდა და გვცემდა, ვისაც ამის სურვილი კი ქონდა. ამიტომ ჩვენი თავის დასაფარავათ ისევ ჩვენ გამოვიღეთ ხელი, მარა უნდა იცოდეთ, რომ ჩვენგან არავითარი თავდასხმა, ქურდობა და ძალ-მომრეობა არ შეიძლება. ეს პოლიციის საქმეა.

მთავრ. წარ. მომრიგებელი შუამავალი თავადი ნაკაშიძე არ აქცევდა ყურადღებას თქვენს კანონიერ მოთხოვნილებებს?

ხალხ. წარ. რა ბრძანებაა, ბ-ნო, ჩვენ ვინ მოგვაქცევდა ყურადღებას; ჩვენი დახმარებისათვის შეიძლება დასჯილიყვენ და ჩვენი დაჩაგვრისათვის კი არავინ ისჯებოდა. ნაკაშიძე თვითონ ერთი უდიდესი მემამულეთაგანია და იმას არც ესიამოვნებოდა ჩვენი მოთხოვნა.

მთავრ. წარ. ხომ არ გიჩივლიათ ვისმესთან?

ხალხ. წარ. ვისთან უნდა გვეჩივლა?! ხმის ამოღებისათვის ციხეში გვაჯდენდენ და გვამათრახებდენ. სხვა დანაშაული რა აქ იმ კაცებს, რომლებიც საცლა-საცლა გადაასახლეს და რომლებიც ახლა ციხეში ყავენ დამწყდრული? ამდენმა უსამართლობამ ჩვენ დაგვანახა, რომ გაჭირვებული მუშისათვის არ არის აღარც ღმერთი, აღარც სამართალი, აღარც მთავრობა. გვეყო ამდენი ტანჯვის მოთმენა. ახლა ჩვენ მოვითხოვთ, საქმე ისე მოწესრიგდეს, რომ ჩვენთვისაც შესაძლებელი დარჩეს ქვეყანათ ცხოვრება; ხუთი თითით რომ ვმუშაობთ ერთი თითის ნაშრომი მაინც უნდა შეგვრჩეს საკუთარივ ჩვენთვის; მთელი ჩვენი ნაშრომი სხვამ რეიზა უნდა შეჰამოს?

მთავრ. წარ. ცოტა დამშვიდებით ილაპარაკეთ, ნუ აღელდებით, თორემ შეიძლება რაიმე საყურადღებო ცნობები გამოგრჩეთ.

ხალხ. წარ. რაფერ შეგვიძლია ბ-ნო, არ ავღელდეთ, როცა რომ მაშინდელი მათრახის კვალი ახლაც მეტყობა ზურგზე. ჩვენ გაჭირვებას ენა ასე მალე ვერ იტყვის. ეს ხომ პოლიცია და მემამულეები. ახლა სამღვდელოების ამბავს აღარ იკითხავთ? ღვდლებიც ჩვენ მოგვდგენ და აღარაფერს არ ზოგავენ ოღონდ თავისი გაუმაძღარი მუცელი და უძირო ჯიბე გაივსონ. ათასგვარ გადასახადებს გარეშე დაგვადევს კიდო რაღაც დრამა ფული, კომლზე ორი მანეთი. ამ დრამა ფულს პოლიციის საშვალებით აგროვებენ და ფული რომ აღარ გაგვაჩნია მიაქვთ სამუშაო იარაღები, ოჯახში საჭირო ნივთები. აი მაგალითათ, მაშინ, როცა დრამა ფულის გადახდა ძლიერ გაგვიჭირდა და უარი ვთქვით, მე, მაშინდელმა მამასახლისმა, ნაჩალნიკის ბრძანებით, გამოვიტანე ყველაფერი ხიბაკი სახლიდან. ზოგს თოხი წავართვით, ზოგს წალდი, ზოგს ქვაბი, ზოგს ქვეშსაგები და ყველა ამაზე ტორგი დავნიშნეთ, მარა არაფერმა კაცმა არცერთი ნივთი არ იყიდა. ეს რატომ არ იყიდესო,—და მე, როგორც მამასახლისი, ორი კვირით ციხეში ჩამაგდეს.

მთავრ. წარ. შენ როცა მამასახლისათ იყავი, იცოდი რომ ზოგიერთი ნივთის წართმევა და გაყიდვა არ შეიძლებოდა?

ხალხ. წარ. ჩვენ ბ-ნო, ნაჩალნიკმა ასე გვითხრა, მუშა ხარს გარდა ყველაფერი წაართვით: თოხი, წალდი, ცული, კარდალაი, თუნგი, სკამი, ფარდაგი, ესენი ყველაფერი წაართვით, რაც უფრო გაუჭირდება, უფრო მალე გადაიხდისო, ასე გვიბძანებდა ჩვენი ნაჩალიკი ჯაფარიძე. ახლა, ბ-ნო, რადგანაც ის მოხეკილი ნივთები აღარავინ იყიდა, კანცელარიაში ინახებოდა. ერთ დღეს კანცელარიას შემთხვევით ცეცხლი გაუჩდა და ყველა ნივთები შიგ გამოიწვა, მოგვიხდა მეორეჯერ ასე ცარცვა-გლეჯით ერთხელ გადახდილი ფულის მოხვეჭა. ახლაც ბევრია დრამის ფულში მონახეკი ნივთები. (ერთმა ხალხიდან დაიძახა: ჩემი კარდალაი ახლაც კანცელარიაში აგდია, მეტი კი არაფერი გამაჩნდაო). გარდა ამ დრამა ფულისა, მღვდლები ათასნაირ სხვა გადასახადებს გვახდევინებენ: ეს დამარხვისო, ეს წირვისო, ეს ნათლი'სო. თუ არაფერი გაგაჩნია და ვერ მიეცი, ისე მკვდარს არ დამარხავს; უნდა ივალო, მისცე და მაშინ დაგიწყებს ლაქუცს: აი ასე უნდა, უფულოთ და ულოცვა-კურთხევოთ მკვდარი არ ცხონდებაო. თითო მიცვალებულზე თითო მანეთს სხვას აგროვებდენ, ვითომც ეკლესიის სასარგებლოთ, მარა თითონ ჭამდენ. ზიარების აღების დროსაც ფულებს გვთხოვენ და გვეუბნებიან: ,,თუ ფულს არ გადაიხდით ზიარება მუცელში ცეცხლს გაგიჩენსო''. ჯვარის წერის დროს ხომ ნამდვილი ვაჭრობა იმართება. დეიწყებს მღვდელი 25 მანეთიდან და იქნებ თუმნათ დაგყვეს. ასეთი ამბავი ისე ხშირი იყო, რომ არავის აღარ ეუცხოებოდა. თქვენ, როგორცა ჩანს, არა გცოდნიათ ჩვენი გაჭირება, თვარა აქ არ მოხვიდოდით. ჩვენ კი, კარგა ხანია ვიცით, რომ მღვდლები, როგორც პოლიცია, ჩვენი მტრები არიან. მარა მარტო აგენს რომ ვყავდეთ დაჯაბნებული ეს კიდევ არაფერია. შიმშილი და სიცივე, სიშიშვლე და სხვა გასაჭირი ჩვენში ბევრ ავათმყოფობას აჩენს და იშონიან თუ არა დროს, ჩვენი ექიმებიც ტყავს გვაძრობენ. სხვა დოხტურებზე არ ვიცით და აქანაი რომ გვყავს, იგი კი ამფერია. მაგალითათ, აი ჩვენი ექიმი ნადირაძე წეიყვანეს ავათმყოფთან; სანამ იგი მისას მივიდოდა, საწყალი კიდეც მომკვდარიყო. ექიმიც შუა გზიდან უკან დაბრუნდა, მარა პრაგონი მაინც გადაგვახდია. ერთი სიტყვით ყველანი გვარჩობენ და რაღა გვექნა, რომ ჩვენ თავს ისევ ჩვენ არ ვპატრონებოდით.

მთავრ. წარ. თქვენს საავათმყოფოში წამლის ფასს გახდევინებენ?

ხალხ. წარ. არა, ბ-ნო, მარა იქ საჭირო არაფერი არ არის; რაც ძვირია, იგი ყველაფერი კერძო კაცის აფთიაქში უნდა ვიყიდოთ. ახლა ისევ მიწებზე მოგახსენებთ. აქვს მიწები ეკლესიას, აქვს ხაზინას, აქვს მონასტრებს, ვილაც უფლის წულებს. არც ერთი ეს პატრონები არ მუშაობენ მიწას. მიწას მუშაობს მარტო მიწის მუშა გლეხ-კაცი და, უფრო სამართლიანათ მიგვაჩნია ეს მიწები ჩამოერთვას უსაქმურ პატრონებს და ხალხს, მშრომელ ხალხს დაურიგდეს. აგრეთვე ის სანადელო მიწები, რომლითაც სახელმწიფო გლეხები სარგებლობენ მათ კერძო საკუთრებათ უნდა იქნას აღიარებული. რასაკვირველია, ეს უსასყიდლოთ უნდა მოხდეს ასე. ამას გარდა ჩვენში ბევრი გაუნთავისუფლებელი გლეხია დარჩენილი. ჩვენ ვთხოულობთ, რომ ყველა ისინი უსასყიდლოთ განთავისუფლდენ თავიანთი მიწებით და იმათ, ვინც თავისი საკუთარი მიწა გამოიყიდა ბატონისაგან, უკანვე დაუბრუნდეთ დანახარჯი ფულები.

გვაქს თითო ციდა მამული. ჩვენი ყურძნის ჭაჭა რომ არაყათ გამოხადო, გამოვა რაცხა ერთი ფუთი და ამ არაყზე იმხელა ბაჟი დაადევს, რომ გამოხთა შეუძლებელია. ამ ბაჟებით ინახება ის აქციზნები, სოფლებში რომ დარბიან, ღელე-ღელე დაძვრებიან და ხალხს ტყავს აძრობენ. კაია, ღმერთმანი, ჩვენი საწყალი ნაშრომით ვინცხა ყაჩაღები გაძღენ. შარშანწინ დაიჭირეს ერთი საწყალი დედაბერი 70 წლისა, რომელიც საცოდავათ ღელეში ჩალხანეთ არაყს ხთიდა. წაართვეს ორი ბოთლი ოტკა და ჩალხანაი, ესეც არ აკმარეს, ჩაგდეს ციხეში და სამი თვე დამწყდოული ყავდათ, რავარც კაი ფირალი. იმისი საწყალი ობლები ღვთის ანაბარა დარჩენ. (ამ დროს მოიყვანეს თითონ ის მოხუცი დედაკაცი, რომელზედაც ზევით ვილაპარაკეთ. ერთი იმისი შეხედვა საკმარისი იყო, რომ დარწმუნებულიყავით იმისს უკიდურეს სიღარიბეში. მარტო ჩვენ აქციზებს შეეფერებოდათ იმისი დატუსაღება, სხვა მოხელე ამას ვერ შესძლებდა.) ასეა ბ-ნო, ამდენი გადასახადი, ამდენი ბაჟი და მეტი ჩვენ აღარ ვართ. რავარც არაყზე, იმფერი ბაჟი ყოფილა ნავთზედაც, შაქარზეც, ჩაიზეც, თუთუნზეც და ყველა საჭირო ნივთზე. რომელ ერთს გაუძლოს საწყალმა კაცმა. ჩვენც ცხოვრება გვინდა, ჩვენც სული გვიდგია. ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ, რომ ყველა ასეთი ფარული და პირდაპირი ბაჟები სრულიად მოისპოს. ამასთანავე შეიცვალოს გადასახადის მოკრეფის წესი, რადგანაც ყველა ღარიბ ოჯახს სჭირია წელიწადში 500 მანეთი ფული, ამიტომ ვისაც შემოსა-

ვალი ამაზე მეტი არ ექნება, იგი გადასახადსაც ნუ გადიხდის; ვისაც მეტი შემოსავალი ექნება, იმან გადიხადოს თავის სიმდიდრის კვალობაზე: მეტი აქვს—მეტი გადიხადოს, ნაკლები აქვს—ნაკლები.

ჩვენ სწავლა გვინდა. უსწავლელი კაცი რაფერ იცოცხლებს ახლანდელ დროში? სხვა ქვეყანაში, თურმე, წერა-კითხვის უცოდინარი ძნელი მოსანახავია, ჩვენში კი წერა-კითხვის მცოდნე უნდა ეძებო სანთლით. რეიზაა მერე აი? რატომ არ გვაქ ჩვენც ისე ბევრი კლასები? ამტოლ ფულს რომ ვიხდით, სად მიაქვენ აგი? ჩვენ მოვითხოვთ, რომ ჩვენშიაც შემოიღონ იმფერი სწავლების წესი, რავარც განათლებულ ქვეყნებშია. სწავლა უნდა იყოს 16 წლამდე საყალდებულო და უფასო, ქალებისა და ვაჟებისათვის. უმაღლესი სწავლაც უფრო ხელ-მისაწდომი უნდა დარჩეს ახლანდელზე. მარა, ერთი კია, ჩვენ არ გვინდა, რომ სწავლის საქმეში მღვდლები ერეოდენ. ჩვენ არ გვინდა, რომ ჩვენ შვილებს მონობას უქადაგებდენ და მის ფხიზელ აზრს უბნელებდენ. ჩვენ რა ხეირი დაგვაყარა ბათმა მოთმინების ქადაგებამ? ვითმინეთ, ვითმინეთ, ვითმინეთ და ყველანი ზურგზე შეგვაჯდენ. მეტი თმენა ჩვენ აღარ შეგვიძლია და არც მაგფერი ქადაგების გვჯერა რამე.

მთავრ. წარ. იქნებ რუსული ენა არ არის საჭირო სკოლებში და გინდათ ქართული იყოს?

ხალხ. წარ. ჩვენ ყველა ენის სწავლა გვინდა ქართულიც გვინდა და რუსულიც. სხვა ენაც რომ ვიცოდეთ, უკეთესია.

ჩვენი გასაჭირი ბევრია, მარა სალდათობა ყველაზე უფრო გვწყვეტს წელს. წეიყვანეს ჩვენი ძმები, საცხა იაპონიაო და იქინე ზღვიაო და ახოცინებენ ერთმანეთს. რისთვის უნდა დაიხოცონ იქ ჩვენი ძმები? ჩვენ მიწა მამული კი არ გვაკლია, მარა ეს მიწა რამოდენიმე კაცის ხელშია. ვავანაწილოთ ეს მიწები და ქე გვეყოფა ყველას. აარჩევენ საუკეთესო ბიჭებს, რომლებსაც მუშაობა შეუძლია, მიყავთ სადღაც ოთხი წლის ვადით და იმას გარდა, რომ მუშა ხელ, აშორებენ ოჯახს, კიდევ სალდათათ წაყვანილებიც ჩვენი სარჩენი რჩებიან. ჩვენ უნდა ვუგზავნოთ აქედან საჭმლის ფული, რადგანაც არაფერს აჭმევენ, უნდა ვუგზავნოთ ტანისამოსის ფული, რადგანაც ტანზე ვერ აცმევენ. ასე რომ, თითოეული სალდათის შენახვა ოჯახს ათ-ხუთმეტ თუმნამდე უჯდება. თუ დაინახეს თურმე ფეხ-შიშველი ცხვირ-პირს ამტვრევენ და უნდა ვუყიდოთ, აბა რა ვქნათ. იქ ომში თურმე, ყოველ დღე ორი მილიონი მანეთი იხარჯება. რა უპირს, ეს ფული კლასების გახსნას მოანდომონ და ამით ჩვენ გასაჭირს უშველონ რამე? თუ ომი საჭირო იქნება, განა ჩვენ ვერ დაიფარავთ ჩვენს სამშობლოს? ჩვენ მოვითხოვთ, რომ სალდათობა მოისპოს, მოისპოს ეს საზარელი ომი.

ესეც დიდი ხნის გამოცდილებით ვიცით, რომ ჩვენ სამართალი არა გვაქვს. ჩვენში მდიდარი ყოველთვინ მართალია. ღარიბი ყოველთვინ მტყუანი. ამიტომ ჩვენ სულიების აღარაფერი გვწამს. ჩვენ ვთხოულობთ, რომ მოსამართლეები ჩვენგან ამორჩეული იყვენ და ყოველი მოქალაქის წინაშე პასუხის მგებელნი. აგრეთვე უნდა მოისპოს რაღაცა პასპორტები რომ იციან. ახლა აი ამ კაზაკებზე მოგახსენებთ, აგერ რომ ჩამოგვიყენეს. არ მოეწონა, ვთქვათ, შენი სახე, გეცემა და გაგამათრახებს. პასუხს ვერავინ მოთხოვს და არსად საჩივარი არ გაგივა. ჩვენი პიროვნება არ არის ხელშეუხებელი და ჩვენ კი მოვითხოვთ პიროვნების ხელ-შეუხებლობას. ჩვენ უნდა მოგვეცეს ნება ჩვენ საქმეზე მოლაპარაკებისა, ე. ი. უნდა მოგვეცეს კრების თავისუფლება. კიდევ, ძალას რომ გვატანენ ნუ შეგიკრავთ პირი და სხვის მამულზე იმუშავეთო, ეს ნუ იქნება—ჩვენ უნდა გვქონდეს გაფიცვის თავისუფლება,

ამოვიღეთ თუ არა ხმაი ჩვენ გასაჭირზე, მაშინვე კაზაკები და სტრაჟები მოგვისიეს. რა დავაშავეთ ამის ფასი? ჩვენს შავ-ბედზე რომ ვილაპარაკოთ, განა ამისათვის სტრაჟები და კაზაკები უნდა მოგვისიონ? განა გასაჭირის გამხელა დანაშაულობა არის? სანამ ეს კაზაკები აქ იქნებიან ჩვენ იძულებული ვართ ჩვენი ოჯახები დავიცათ გაცარცვისა და აოხრებისაგან და მუშაობაზე ხელი ავიღოთ, ამიტომ ესენი აქედან უნდა წაიყვანონ, ჩვენ მოვითხოვთ ამას.

ამასთანავე უსამართლობათ მიგვაჩნია ეს წოდებრივი განსხვავება ადამიანთა შორის. კაცი ყველა ერთია, ყველას ერთნაირი ცხოვრება ჰირია. რატომ უნდა იყოს აგი აზნაური, აგი თავადი, აგი გლეხი. ჩვენ მოვითხოვთ, რომ მოისპოს წოდებრივი განსხვავება და ყველა ადამიანს თანასწორი უფლება ქონდეს. ახლა რომ ჩვენ ვაკეთებთ გზებს, ვყარაულობთ, ბეგარაზე მივდივართ და ამ ჩვენი შრომის ნაყოფით სხვები სარგებლობენ, მაშინ აღარ იქნება ესა და საზოგადო საქმეში ყველა მონაწილეობას მიიღებს.

დავიწყეთ ჩვენ შარშან გზის კეთება ჩვენი ნებით: «ეს პუნტიაო» და რამოდენიმე კაცი დაიჭირეს. არ ვიცით ღმერთმანი გზას აკეთებ «პუნტია», არ აკეთებ, ისიც «პუნტია». დაიჭირეს მაშინ ორი ჩვენი ამხანაგი იოსებ და ილარი მეგრელიშვილები და დღესაც ციხეში სხედან. ზოგმა ციხეში ჯდომა არ მოინდომა და ახლაც იმალება. ვინც ჩვენში ხალხის გულისათვის დაისაჯა, ყველა უსამართლოთ დასჯილია და ჩვენ მოვითხოვთ მათ განთავისუფლებას.

ნატანებში რომ ჯარი ჩამოიყვანეს, რა საჭირო იყო? ის ჯარი უთუოთ გაყვანილ უნდა იქნას. ჩვენ არავის არაფერს არ ვუშლით. სალდათები და უფრო კაზაკები ყველანი კარგი ხასიათის და პატიოსნები კი არ არიან. იმათში ბევრი უსინიდისო და მხეცი ურევია. შეიძლება რამე ფინთი ჩაიდინონ და მაგის მოთმენა ჩვენ აღარ შეგვიძლია. ჩვენს პატიოსნებას ჩვენი სისხლით დავიცავთ.

დასასრულ უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი თხოვნის სისრულეში მოყვანა არ შეუძლია იმ მთავრობას, რომელიც ჩვენ ახლა გვყავს და რომელსაც ვერ ვენდობით. ამისათვის უნდა მოწოდებულ იქნას სახალხო დამფუძნებელი კრება. ხალხმა თითონ უნდა მიიღოს მონაწილეობა თავისი საქმის წაყვანაში. ხალხმა თითონ უნდა ამოირჩიოს თავისი წარმომადგენელები საყოველთაო, თანასწორი, დახურული კენჭის ყრით. ამ ამორჩეულ კაცებს მიანდობს ხალხი თავის საქმეებს და ნდობასაც გამოუცხადებს.

ამით ვათავებთ ჩვენი გასაჭირის მთავარ მუხლების ჩამოთვლას.

ბ. სულთან კრიმ-გირეიმ მადლობა გადაუხადა დეპუტატებს გულ-ახდილი ლაპარაკისათვის.

—

სურები. 3 მარტი. სურების საზოგადოება მთიან-გორიანი ადგილია. ის მიდევს მდ. სუფსის ხეობას, დაახლოებით ოცი ვერსის სიგრძეზე. თითქმის მთელ სურებში ვერ შეხვდებით ერთი ხუთი ქცევა სივრცის მინდორს. მცხოვრებლების უმრავლესობა მდინარე სუფსის მარჯვენა ნაპირზე ცხოვრობს, რადგანაც ამ მხრით სამხრეთის ფერდობია და თოვლი მალე დნება. ახლაც ერთი ნაპირის ფერდო რომ გამშრალილი არის, მეორე მხრით კიდევ თოვლი ძევს. ეს ხეობა ძლიერ ვიწრო ხეობაა. მცხოვრებლები გამოთხრილ სამოსახლოებზე დგამენ სახლებს. ადგილი მწირია და მოსავალს ნაკლებს იძლევა. გზა ერთათ ერთი შედის და ისიც უვარგისი. ასე

რომ არც ბუნება და არც ხელოვნური მოქმედება მცხოვრებთა კეთილ-დღეობას არ მოწმობს. ხალხი სურებს გაბედული, მშრომელი და სწავლის მოყვარე ასხია. აქვთ ერთი სამინისტრო ორკლასიანი სასწავლებელი და ერთიც ერთკლასიანი, სასოფლო ბანკი და ქონდათ სამკითხველო.

საზოგადოებას 386 კომლი მოსახლე შეადგენს, რომლებიის უმეტესობა გლეხობაა, თუმცა სასულიერო წოდებაც და აზნაურიც ურევია.

3 მარტის კრებას 1500 კაცი და ქალი დაესწრო. ბ-ნმა სულთან კრიმ-გირეიმ წინადადება მიცა ხალხს, თუ ვინმე არა საიმედო პირი გირევიათ, გვითხარით და კრებიდან დავითხოვთო. კრებამ დაასახელა მამასახლისი, შემდეგ ნესტორ კეკელიძე და ანდრია კობიძე ეს სამი კაცი მალე მოშორდა ყრილობას. ამორჩეული 18 დეპუტატი სკოლის ბალკონზე მოთავსდა და თავისს საქმეს შეუდგა.

ხალხ. წარ. ჩვენ ძლიერ ცუდ პირობებში ვიმყოფებით და დიდი გასაჭირი გვადგას. მე კარგა ხნის კაცი გახლავარ, ბატონ-ყმობა მახსოვს და იქიდან მინდა მოვყვე ლაპარაკს. როგორი ძნელი და აუტანელი იყო ყმის მდგომარეობა ეს ყველასათვის ცხადია. ჩვენ გვცემდენ, გვთელავდენ, ტყავს გვაძრობდენ, გვაწამებდენ. ამიტომ ადვილი წარმოსადგენია ის სიხარული, რომელიც ჩვენში ბატონ-ყმობის გადავარდნამ გამოიწვია. ჩვენ ტყვეები ვიყავით და გაგვათავისუფლეს, როგორ არ გაგვიხარდებოდა, ბატონის ოჯახს, ამ ჩვენს ჯოჯოხეთს, ვშორდებოდით. ვიმხიარულეთ, მარა სინამდვილემ მალე დაგვანახა, რომ სიხარული ნაადრევი იყო, რომ ჩვენ თურმე სასიხარულო არაფერი არ გვქონდა, რომ ჩვენი თავისუფლება თურმე იგივ ბატონ-ყმობა იყო. ჩვენ გაგვიშვეს ცარიელი. მთელი მამული ბატონებს აკუთნეს, განთავისუფლებული გლეხი კი გაუშვეს ღვთის ანაბარა. ას წლობით ნაშენ-ნაკვდავი ჩვენი მიწები ბატონის საკუთრებათ გამოაცხადეს და ჩვენ ისევ გამოსაყიდათ გაგვიხადეს. ასეთი იყო ჩვენი განთავისუფლება. ბატონ-ყმობის დროს ჩვენ ვსარგებლობდით ტყით, ახლა ტყე წაგვართვეს: „გლეხ კაცს ტყე არ ეკუთნისო“. ვარეს პირობებში ჩავვარდით. მოვიდოდა ბატონის მოურავი, ჩაგვიდგებოდა სახლში და სანამ ნადელის ფულს არ მივცემდით, სულს ამოგვაძრობდა. მოვინდომეთ თავის განთავისუფლება, მარა რით? სად გაგვაჩდა რამე? ვისესხეთ ფული მევახშე პირებიდან და დავიხსენით თავი, მაგრამ ის ვალი დღესაც ვერ გადაგვიხდია. ახლა ჩვენ შევიტყვეთ, მივხვდით, რომ მიწა მუშა კაცის იყო, რომ ის ფული, რომლითაც ჩვენი საკუთარი მიწა გამოვიყიდეთ ძალათ წართმეულათ უნდა ჩაითვალოს და ამიტომ უკანვე დაუბრუნდეს პატრონებს; აგრეთვე უკან უნდა დაგვიბრუნდეს ის მიწებიც, რომლითაც ჩვენ ბატონ-ყმობის გათიშვამდე ვსარგებლობდით. შეხედეთ ამ დაკიდულ ხრიოკებს! ჯერ ასეთი მამულის ქონა თავის-თავათ რა არის და ჩვენ არც ესა გვაქვს საკმაოთ. თესვის დროს სათესლე ჯიბეში უნდა გვქონდეს და ისე თითო მარცვლობით ჩავრგოთ ამ ფერდობზე, რადგან კალათის დადგმაც შეუძლებელია იქ. მოვა ერთი წვიმა და ამ შენს ნათესს წყალში ჩაიტანს ყველას; უნდა მოსდგე და ხელ-მეორეთ დათესო. ასეთ შრომას კიდევ აიტანდა კაცი, მაგრამ საკმაო მიწა სად არის? იძულებული ვართ მემამულეს ივმართოთ და მოსავლის ნახევარი იმის ნაღიაში ჩავყაროთ. აღარაფერი ხეირი აღარ დარჩა. მოვილაპარაკეთ კარგი პირობები დაგვედვა მემამულეებთან, მარა იგენმა მთავრობას მიმართეს: „გლეხები „ბუნტობენ“ და დააწყნარეთო“. მთავრობამ მოგვისია სტრაჟები, კაზაკები და ყოველგვარი ძალადობა იხმარა ჩვენთან, და მერე იმისთვის, რომ ჩვენ უარი ვთქვით სხვის მამულში მუშაობისა. განა, ამაზე უფრო უსამართლო საქციელი შეიძლება? ჯაშუშების საშვალებით ამოარჩიეს ვითომ და მოთავეები, ზოგი ციხეში ჩაყარა, ზოგი გადაასახლა. მაზრის უფროსმა ჯაფარიძემ ერთი მოხუცი კაცი კიდეც გააროზგვინა. ჩვენ მშრომელი ხალხი ვართ და მიწა გვჭირია, რომ ვიმუშაოთ, მარა ვიმუშაოთ ჩვენი დამშეული ოჯახისათვის და არა გასუქებული მებატონეებისათვის. ჩვენი და მებატონეების უთანხმოება გლეხების არჩეულმა კომიტეტმა უნდა მოაწესრიგოს და ისეთი პირობები შემოიღოს, რომ ორივესათვის ხელსაყრელი და სასარგებლო იყოს.

ნაშთი ბატონ-ყმობისა ჯერაც არის ჩვენში. არიან ესრეთ წოდებული ვროებით ვალდებული გლეხები. ისინი უეჭველათ უნდა განთავისუფლდენ თავიანთი ნადელებით უფასოთ. სახაზინო გლეხებსაც კერძო საკუთრებათ უნდა მიეცეთ თავიანთი ნადელები.

ახლა ტყე. უწინ ჩვენ ტყით ვსარგებლობდით. ბოლოს გამოგვიცხადეს მემამულეებმა: ტყე ჩვენ გვეკუთნის და ნუ შეეხებითო. ჩვენ მთავრობას მივმართეთ შემწეობისათვის, მარა იმანაც ზურგი შეგვაქცია და გვითხრა: ტყე გლეხებს არ უნდა ეკუთნოდესო. ასე წაგვართვეს ჩვენი საკუთარი ქონება. მეტი რა გზა გვქონდა, უნდა შევსულიყავით და გვემუშავა შიგ. ამის ასაცდენათ მემამულეებმა დააყენეს შიგ ყარაულები, აბეშჩიკები და აღარავის უშვებდენ. ცოლ-შვილის სიტიტვლე და შიმშილი რას არ გააბედვინებს ადამიანს! ერთი გაჭირვებული გლეხი, ლაზარე ლომინაშვილი შეიპარა თავის მამულში და დამზადებული ორი-სამი მანეთის საქონელი გამოიქონდა, ისიც ღამე. შეხვდა გზაში აბეშჩიკი გოჯასპირ ტრაპაიძე, გადმოიღო ბერდანკა, დაადგა გულზე და ქე გააგორა საწყალი მუშა. ჩვენ ძლიერ აგვაშფოთა ამ უსამართლობამ. მარა რას ვიზამდით. ქვეყანაზე კანონი გვეგონა და კანონით კაცის მკვლელს ციმბირს იქით აგზავნიან. ჩვენც იმის იმედი დავიკავეთ, რომ მთავრობა დასჯისო. მკვლელი მართლა დაიბარეს ოზურგეთში. გავიდა სამი დღე. გვეხვეწოთ, ეს მკვლელი მოკრიმანჭულობს და მოდის შინ. მხარზე გადაუდვია ბერდანკა და მოღიღინებს არხეინათ. ჩვენ გაგვიკვირდა: კაცო ეს რა ამბავია! კაცმა საწყალი გლეხი მოკლა და ნუ თუ ამისთვის კანონი კაცს არა სჯისო. ჩვენი იმედი საშინლათ გაცრუვდა. კაცის მკვლელი არამც თუ ციმბირში დაკარგეს, პირიქით სამსახურიც მოუმატეს: უფროსი აბეშჩიკობა მიცეს. ჩვენი ძმის მკვლელი ასე დაასაჩუქრეს.

შემდეგ დეპუტატმა ილაპარაკა ტყეში სამუშაო ბილეთი როგორ ძნელი ასაღებია და დააბოლავა: „როცა ყველაფერს ვიანგარიშებთ, ჩვენ დღიურათ ერთი აბაზი ფული გვრჩებოდა. ამიტომ ის ტყეები, რომლითაც ვსარგებლობდით ძველათ, უკანვე დაგვიბრუნდესო“.

მეორე დეპუტატმა სხვა და სხვა სახელმწიფო და საეკლესიო გადასახადების შესახებ ილაპარაკა და როგორც სხვა სოზოგადოებებში, მოითხოვეს შემოსავლის კვალობაზე გადასახადის დაწესება. ეს დეპუტატი თითონ კრეფდა სოფელში გადასახადებს და როგორც მცოდნე პირმა ბევრი საზარელი ამბები მოგვითხრო.

მესამე დეპუტატმა არა პირდაპირი გადასახადები აწერა. „მე აი როგორ გავიგე, რომ თურმე დაფარული გადასახადითაც გვაძრობენ ტყავსო: ერთხელ დუქანში სპირტა ვიყიდე კაპეიკათ. ზედ რაღაცა ქაღალდი აქვს კოლოფს შემოხვეული. ვიკითხე ეს რათ უნდა მეთქი და იქ ერთმა მცოდნე კაცმა მითხრა: აგი ბანდეროლიაო“. მე ჩავეძიე და შევიტყვე, რომ ეს ქაღალდი ნახევარი კაპეიკი ღირებულა. ხაზინა ყიდის ამ ქაღალდებს და თითო კარობკა სპირტას ამით ემატება ნახევარი

კაპეიკი. ეს ბანდეროლი რომ არ ქონოდა სპიჩკას, იგი კაპეიკათ კი არ იქნებოდა, ნახევარი კაპეიკი ელირებოდა ერთი. ერთი ბანდეროლი მარტო სპიჩკას რომ ქონდეს ვინ ჩიოდა, მარა ყველა საჭირო საქონელს ბაჟი თუ ფარული გადასახადი ადევს და ამით ფასი საშინლათ იზრდება. ახლა ამ ზედ მეტ ფასს ის კი არ ზარალობს ვინც საქონელს ყიდის, არამედ ის ვინც ყიდულობს. ჩვენ პირდაპირი გადასახადიც სულსა გვხდის და ეს ფარული გადასახადი თურმე ვარესი ყოფილა. ამიტომ მოვითხოვთ, რომ მოისპოს ეს არა პირდაპირი თუ ფარული გადასახადები.

ამის შემდეგ სამდვლელოებაზე ილაპარაკეს და დასკვნა გამოიყვანეს, რომ ეკლესია ჩამოშორდეს სახელმწიფოს. სწავლის საჭიროება და საყოველთაო, სავალდებულო და უფასო პირველ დაწყებითი სწავლა 16 წლამდე. თევზმა თქვა: პირი წყლით მაქვს სამსე, თორემ სათქმელი ბევრი მაქვსო''. ჩვენც ასე ყველანი თევზებს ვგვეართ: თევზებივით მუნჯები ვართ, რადგანაც მთავრობამ ჩვენ ენას ბორკილი დაადვა და სიტყვის თქმის ნებას არ გვაძლევს. ჩვენ მოვითხოვთ სიტყვა თავისუფალი გვქონდეს. განა მეტი უსამართლობა შეიძლება: კაცო, შენს გასაჭირზე ლაპარაკის ნება არ გქონდეს.

შემდეგ მოითხოვეს: ბეჭდვის, კრების, გაფიცვის და კავშირის თავისუფლება, ბინის და პიროვნების ხელშეუხებლობა, პასპორტის სრულიად მოსპობა; წოდებათა მოსპობა და კანონის წინაშე ყველა მოქალაქის თავისუფლება. ,,ყველა ეს, რაც ახლა თქვენ გაიგონეთ, გასაგონათაც ძნელია. მარა უნდა იცოდეთ, რომ ჩვენი ამ გვარი მდგომარეობის მიზეზი არის გაუნათლებლობა. განათლებაზე ჩვენში ძლიერ ცოტა ფული იხარჯება. გერმანიაში ერთ ქალაქს თურმე სამი უნივერსიტეტი აქვს, ჩვენში კი საშვალო სასწავლებელიც არ არის სამ უმთავრეს ქალაქში. ჩვენი სკოლები საძაგელ მდგომარეობაში არიან; მასწავლებლებს ჯადის ფულიც არა აქვთ. წელიწადში 300 მანეთს აძლევენ და სამს განყოფილებას უნდა მოუაროს. ფულს ამდენს გვახდევინებენ და სკოლებზე არაფერს ხარჯავენ. ამიტომ მოვითხოვთ მასწავლებლების მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ყველა ამ შემაძრწუნებელ ამბებთან ერთათ ყველაზე უბედური და გულს მომკვლელი ჩვენთვის სალდათობა არის. მოითხოვენ ოჯახიდან მომწიფებულ ახალ გაზდას და მიყავთ, ოჯახში ტოვებენ მხოლოთ მოხუცებს, ქალებს და სნეულებს, რომელთაც შრომის უნარი აღარ აქვთ. ჩვენი ჯანსაღი შვილები მიყავთ სადღაც შორს, ამწყვდევენ ოთხი წლის ვადით ყაზარმებში. ასწავლიან იქ ყოველივეს, რაც ზნეობას პატიოსნებას და სიმართლეს ეწინააღმდეგება; ასწავლიან კაცის კვლას, მოძმის გულის განგმირვას. იმათი შენახვა თითო ოჯახს რამოდენიმე თუმანი უჯდება და ეს ფული საწყალმა ოჯახმა უნდა უგზავნოს. ომი წინააღმდეგია რჯულისა, სინდისის; ომი კაცობრიობის გათახსირებაა. მაშ მოისპოს ომი, მოისპოს ეს საზიზღარი ცილეტა. ჩვენმა გალაღებულმა და მცარცველმა მთავრობამ ადრევე იცოდა, რომ გათვითცნობიერებული მისი ქვეშევრდომი, ეს იგივე მტერი იქნებოდა. მაგრამ მტერი შინაური. და აი ამ მტრის, ამ გონება განათლებული მოქალაქის წინაშე წრთვნას ჩვენი მთავრობა ჩვენს ძმებსა და შვილებს. გაჭირვებული ხალხი, როცა ის თავის გასაჭირზე ლაპარაკობს შინაური მტერია და ჩვენი შვილების იარაღით იმათ სისხლს აღვრევინებენ. ჩვენ ვთხოულობთ ჩვენი ცხოვრების გაუმჯობესებას, ხმა ამოვიღეთ ჩვენს გასაჭირზე და აი ჩვენც შინაურ მტრებათ გამოგვაცხადეს და ჩვენი ცხოვრების გაუმჯობესების ნაცვლათ ექვსი ათასი კაზაკი გამოგვიგზავნეს. აი რით დააკმაყოფილეს ჩვენი სამართლიანი, კანონიერი მოთხოვნილება.

ჩვენ გვახდევინებენ გადასახადებს, მიაქვთ, ხარჯავენ, რაში და სად ამას ჩვენ არავინ გვეკითხება. მაგალითათ ავიღოთ ახლანდელი ომი და იმისი შედეგები: რამდენი სიმდიდრე, რამდენი კაცი იმსხვერპლა ამ ომმა და განა ის ახალის მოთხოვნილებით იყო გამოწვეული? განა გვქონდა ჩვენ იაპონიელებთან რამე სადავო? განა იციან ჩვენმა ძმებმა რისთვის იბრძვიან, რისთვის ღვრიან სისხლს? არ იციან, არ იციან, იმიტომ რომ მთავრობა ოთხი წლით ულაყებს თავს ჩვენ შვილებს და მორჩილების მანქანათ ხდის. რამდენი სიმდიდრე ჩაიღუპა ზღვებში უზარ-მაზარი გემების სახით, რამდენი მილიონი მანეთი დაიკარგა და მერმე ვისი ოფლით იყო მონაგარი ეს სიმდიდრე? ვისი და ჩვენი ოფლით, მუშა ხალხის მარჯვენით. ვთქვათ ბევრი გვაქვს ქონება, სიმდიდრე, მაგრამ ეს სირცხვილი არ არის, რომ დაწვა, საკუთარი ხელით გაანადგურო შენივე სიმდიდრე, როგორც ამას ჩვენი მთავრობა შეება ბრძოლის ველზე უკან დახევის დროს ამდენი ქონების ტყვილა უბრალოთ დათუთქვა სამართლიანი, ქრისტიანულია? ჩვენ, ხალხი, ჩვენთვის რომ ეკითხათ ასე არ მოიქცეოდით. ერთი გვითხარით, რა მოძრაობათ რაცხს მთავრობა გურულების მოძრაობას?

მთ. წარ. პეტერბურგში არ ვიცი, მაგრამ მთავარ-მართებელი კი ფიქრობს: გურულების მოძრაობის მიზეზი ქონებრივი გაჭირვება არისო.

ხალხ. წარ. მე ვიცი, რომ მთავრობის მოხელეები ხალხში და სალდათებში ავრცელებენ ყოვლად უსაფუძვლო ხმებს, თითქო ჩვენ ჩვენი მეფე გვინდოდეს, თითქო ჩვენ ცალკე სახელმწიფო გვინდოდეს. ეს ტყუილია, ეს საზიზღარი ცილის წამებაა; ჩვენი მოძრაობა განუყოფელია მუშათა მოძრაობისაგან. ვინც უნდა იყოს, რა ეროვნებაც უნდა იყოს გაჭირვებული კაცი, ჩვენ, როგორც ყოველი მუშა რუსეთისა ვებრძვით დღევანდელ წესწყობილებას. ჩვენ უნდა დავანგრიოთ ის და მის ნანგრევზე ავაშენოთ ახალი, სამართლიანი წეს-წყობილება. ჩვენთვის ყველა მუშა განურჩევლათ ეროვნობისა ძმეძმებია, ჩვენი და იმათი ინტერესი ერთია.

მთავრ. წარმ. არა, მე არ ვხედავ აქ ნაციონალურ მოძრაობას. მათრახებით პეტერბურგშიაც ცემენ ხალხს; ცემენ კაზაკები და სალდათები, რადგანაც კაზაკებს სასიამოვნოთ აქვთ თავისი ძმების გამათრახება, ისინი უზრდელები არიან, გაუნათლებლები. პოლიცია ვერ იკვლევს სიმართლეს და ხშირათ შეცდომაში შედის. მთავარ-მართებელი ძლიერ აქებს და ენდობა გენერლებს. აქ რაღაცა გაუგებრობა არის.

ხალხ. წარ. ჩვენ არა გვაქვს იმედი რომ მთავრობამ, რომელსაც არ ვენდობით, ჩვენი თხოვნა დააკმაყოფილოს. მას შემდეგ მაინც, რაც პეტერბურგში ასე განუკითხავათ ამდენი ათასი მუშა ხალხის სისხლი დაღვარა, მას შემდეგ რაც ბაქოში, ბათუმში და სხვა დიდრონ ქალაქებში განუწყეტლივ იღვრება მუშა ხალხის სისხლი, ჩვენ არ შეგვიძლია ნდობა გამოუცხადოთ მთავრობას და იმას მივანდოთ ჩვენი ცხოვრების მოწესრიგება. აღარ ვართ ისე გულუბრიყვილონი, როგორც მთავრობას გონია და გვესმის, რომ ჩვენი გასაჭირის შემსუბუქება შეუძლია იმ გვარ მთავრობას, რომელსაც ირჩევს ხალხი, რომელიც შედგება ხალხის მიერ არჩეულ წარმომადგენელებისაგან. ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ, მოწვეულ იქმნას არა ზემსკი სობორი, არამედ სახალხო დამფუძნებელი კრება, ჩვენ გვინდა ხალხური მთავრობა.

სოფ. **ნანეიშვილისოული.** 5 მარტი. ნანეიშვილისოულის საზოგადოება გურიის ანუ უკეთ რომ ვთქვათ ოზურგეთის მაზრის განაპირა კუთხეა და ქუთაისის მაზრისაგან პატარა მდინარე ხეისწყალა ყოფს. ყოველი მხრიდან მთებით შემოზღუდულია ეს პატარა ადგილი. ნიადაგი უნაყოფო არის;

უმეტეს ნაწილათ უსწორ-მასწოროა. ყურადღების ღირსია სკოლის შვენიერი შენობა. ჯერ არსად არ გვინახავს გურიაში ასეთი სრული და ნათელი სკოლის ოთახები. ეს შენობა სოფელს 8000 მანეთათ დაჯდომია. ხალხი, როგორც ყველგან გურიაში, ისე აქაც უკიდურეს სიღარიბეშია ჩავარდნილი.

სამინისტრო სკოლის წინ ორი ათასამდე ქალსა და კაცს მოეყარათ თავი. ასე, ნაშუადღევის პირველი საათი იქნებოდა, კრება დაიწყო. კრიმ-გირეის თარჯიმანმა წაუკითხა ხალხს მოწოდება „მოგესალმებით გურიის შვილნო...“ რის შემდეგ ამოირჩიეს 12 დეპუტატი. დეპუტატები გაბედულათ და მჭერმეტყველურათ ასრულებდენ თავისს დანიშნულებას.

I. ხალხის წარ. ისეთი ბედნიერი წამი ჯერ არ გამოგვიცდია, რომ ჩვენს ძმებთან ასე თავისუფლათ და გულახდილათ ლაპარაკი შეგვძლებოდეს. გვახსოვს მხოლოთ ის, რა მწარე საჩუქარს მივიღებდით ხოლმე ასეთი ყრილობისათვის სხვა დროს და თუ ახლაც ძველი წესი დაცული იქნება, მაშინ ჩვენ ხმას არ ამოვიღებთ.

ამაზე გირეიმ ისეთივე პასუხი მისცა, როგორც სხვაგან ე. ი. ჩემს აქ ყოფნის დროს თქვენ არაფერი შეგეხებათ, მაგრამ თუ ჩემს წასვლის შემდეგ ვინმე დაიჩაგროს ამისათვის, მაცნობეთ და დახმარებას აღმოუჩენო.

ხალხ. წარ. ახლა მოგიყობით. ჩვენს საზოგადოებაში 500 კომლამდე გლეხი კაცი ცხოვრობს. ჩვენი უმთავრესი გასაჭირი-კი მიწის უქონლობა არის. მთელი ის კარგი მამულები, რომელსაც თქვენ ხედავთ დაბლობში, ერისთვების საკუთრებას შეადგენს. გლეხებს აი ის ხრიოკი ფერდობები ეკუთვნის. ერთი სიტყვით ყველა კარგი მიწა მემამულეს ხელშია. გლეხის ქცევაზე ათი ფუთი სიმინდი არ მოდის და რა უნდა გაუკეთოს ორმა სამმა ქცევა ასეთმა მამულმა? იშვიათია ისეთი გლეხი, რომელსაც შვიდ სულზე ნაკლები საჩენი ყავდეს. მეტი კი ბევრს. ახლა არ იკითხავთ, როგორ გაუძღვეს ამ ოჯახს? მებატონეს ყავს მოურავი; თითონ ხომ არ დაჯდება მამულში? ეს მოურავი ჯერ თავის სასარგებლოთ ატყუებს ხალხს და ქცევაზე მანათ-ნახევარს და ან ორ მანეთამდე ახდიებს. არ მისცემ და ადგილზე ხელი უნდა აიღო. შემდეგ მებატონე დაგიდებს ისეთ პირობას, რომლის შემდეგაც მუშა კაცი ხელ-ცარიელი რჩება. ჩვენი მუშა, ჩვენი კაკალი, ჩვენი ხარები და მოსავლის ნახევარი ბატონს უნდა მიართვა, იმ ორი მანეთის გარდა, რომელიც მოურავს მიეცი. კიდევ კარგი დროზე თუ გაგირიგა, თვარა ხანდისხან იმდენს გაცდიებს, რომ შენი საკუთარი ქონება დაგეკარგება და სულ ხელ-ცარიელი დარჩები. ჩალაც, ლობიოც, სიმინდიც შინ უნდა მიუტანო. მე ერთხელ ჩალა არ ამაზვინივია ხეზე «გახმება ხეიო» და შინიდან მივუტანე საზვინე ხეი ზურგით.

მთავრ. წარ. ყველა მემამულეს ასეთი მცარცველი მოურავი ყავს?

ხალხ. წარ. ყველა ერთია, ბ-ნო, მცარცველი და სისხლის მსმელი. ახლა ქვევით: თითო ძროხა ან თხაი ჩვენშიაც ყავს ვისმეს. ვთქვათ, საქონელი ჩვიდა იმ ნაჩალევში, სადაც მე ყანა მქონდა, მოურავი მაშინვე დააჭერინებს და ეგრეთ წოდებულ «ნაბაწრს» ხუთ შაურს სულზე გადაგვახდიებს. პირიც რომ არაფრისთვინ მოეკრას, ბაწარის დაბმა თუ მოასწრო, ,,ნაბაწრი'' მაინც მიაქვს. თქვენ განათლებული კაცი ბრძანდებით და გკითხავთ: ამაზე უფრო გამწარებული ცხოვრება კიდევ შეიძლება? განა ამას სიკვდილი არ ჯობია? თუ მემამულე კარგი თვალით გიყურებს, მაშინ კიდევ კარგი, მაგრამ თუ აგითვალიწუნა, სადღა მიდიხარ? მამულები ეკლესიასაც და მონასტრებსაც ბევრი აქვს. ყველგან ჩვენი მცარცველები არიან ჩამსხდარნი. ოცი ვერსის სიშორეზე მივდივართ ადგილის საყანეთ ასაღებათ. ამის შემდეგ განა კიდევ დამტკიცება უნდა ჩვენს გაჭირვებას? აი თუ გსურთ, მოგითხრობთ ერთ ამბავს: გაბილაი კაკვაძე ვარლამ ერისთვის დროებით ვალდებული გლეხი იყო. რაცხა ერთი ქცევა მაღული ჭონდა იმისი. ერისთავმა შეუთვალა ან აიბარგე მაქედან, ან 150 მანეთი გადაიხადე და თავი გამოიყიდეო. 150 მანეთი ადვილი სათქმელია, მარა გლეხს სად შეუძლია იმისი გადარჩენა? მიველით და ვთხოვეთ ბ-ნს ერისთავს არ ჩაედინა ასეთი საქმე, მარა ახლოც არ გეკარა ჩვენი თხოვნა. რაღას იზამდა საწყალი კაკვაძე, გაყიდა რაც რამ ებადა, შვიდი თუმანი კიდევ ისესხა და მიართვა ერისთავს. იმან დაუწერა ფულის მიღების კვიტანცია, ნამდვილ ნაყიდობის საბუთს მერე მოგცემ, ახლა არ მცალიაო. მივედით ერთხელ, მივედით მეორეჯერ, მესამეჯერ, თქვენც არ მომიკვდეთ. დრო არა მაქვს, დრო არა მაქვსო. ასე გავიდა ორი წელიწადი. ამ ხანებში მას ნაჩალნიკი დადიშქელიანი ეწვია. შევჩივლეთ იმას, იმან მიროვოი პოსრედნიკთან მიგვასწავლა. მიროვოი პოსრედნიკს მივადექით, იმან ვარლამ ერისთავთან გაგვისტუმრა და ამასობაში გაბილა კაკვაძე ქვე მოკდა. დარჩენ საწყალი უპატრონო ობლები, გაყიდეს ყველაფერი ღსაჭიროესი რაც ებადათ, რომ რამე ნაირათ ვალის ნამთავნი გაესტუმრებიათ. ახლა ცოლი იმისი ვიღაცას მოსამსახურეთ უდგას, შვილებიც მოჯამაგირეთ არიან და გაბილა კაკვაძის ოჯახი აღარ არსებობს. ასეთი არის ჩვენში სამართალი.

მთაურობის კაცები ყოველთვინ მემამულის და მჩაგვრელების მხარეს არიან, ჩვენ შემწე არავინ აღარ გვყავს. ამიტომ მოვითხოვთ, რომ გლეხებს და მემამულეებს შორის ატეხილი უთანხმოება გლეხთაგან არჩეულმა კომიტეტმა მოაწესრიგოს. მე ის მოგახსენეთ, რაც საკუთარი ჩემი თვალით მინახავს. ჩვენს ყოფაში ცხოვრებას სიკვდილი სჯობია. ბატონ-ყმობა ამასთან შედარებით ბედნიერება იყო.

II ხალხ. წარ. როდესაც ჩვენ მოგვეცა ასეთი ბედნიერი შემთხვევა სახალხოთ ვალიაროთ ჩვენი გასაჭირი, მე მივაქცევ ყურადღებას შემდეგ გარემოებას: ჩვენში სამი სიის გლეხებია: მესაკუთრე, დროებით ვალდებული და სახაზინო ჩვენ, მუშა ხალხს, ქვეყნის მარჩენალს და ყოველგვარი სიმდიდრის შემქმნელს; ჩვენ გლეხ-კაცებს, რომლის ზურგზეც შემსხდარან ამდენი მუქთა ხორები, რატომ არ უნდა გვქონოდა საკუთრების უფლება იმ მიწაზე, რომელსაც უხსოვარი დროიდან ჩვენი წინაპრები ამუშავებდნენ? მიწა გლეხის საკუთრება რატომ არ უნდა ყოფილიყო? ნუ თუ ღმერთმა იმიტომ გააჩინა მიწა, რომ ის მარტო ბატონებს მიესაკუთრებია? ასეთი უსამართლობა გაგონილა? ჩვენ ახლა მესაკუთრეები ვართ, მარა ის ჩვენი მიწები მამა-სისხლათ ავალებული ფულით გვაქვს შეძენილი. ახლა დაეინახეთ, თუ რა უსამართლოთ წაურთმევიათ ჩვენთვის ის ფულები, როგორ ეშმაკურათ მოუყიდიათ ჩვენთვის ჩვენივ საკუთრება და ამიტომ მოვითხოვთ, რომ ასე ქურდულათ და უსინდისოთ წართმეული ფულები უკანვე დაგვიბრუნონ ამას მოითხოვს სამართალი და პატიოსნება.

დროებით ვალდებულნი ხომ ჯერაც ყმები არიან? იმათ არ გადაუხდიათ ფული იმაში, რაც მათი საკუთრება არის და აღარც გადაიხდიან. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ისინი განთავისუფლებულ იქნან თავისი ნადელებით და ამაში ერთი გროშიც არ მოეთხოვოთ.

სახაზინო გლეხებიც გაჭირვებასა და მონობაში არიან. იმათ არა აქვთ უფლება თავისი ნადელებით სურვილისამებრ ისარგებლონ. არ შეუძლიათ იმისი გაყიდვა, არც დაგირავება, არც გადაცვლა. გლეხის გასაჭირი ვინ იცის რას მოით-

ხოვს! ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ, რომ სახაზინო გლეხებსაც კერძო საკუთრებაში დაურიგდეს ის მამულები, რომლებსაც ისინი უფლობენ და ამუშავებენ.

მთავრ. წარ. არ გეშინიათ, რომ როდესაც სახელმწიფო ნაკელების გაყიდვის ნება გექნებათ, მეზობლების ხელში გადავა თქვენი მამული? ეს ასე მოხდა მაგალ. რუსეთში.

ხალხ. წარ. მაგისათვის ნუ შეწუხდებით. ჩვენ მოვუვართ ჩვენს მამულებს და მეზობლებს არ ჩაუგდებთ ხელში. ამას გარდა გლეხობა ყველას დაჯაბნებული ყავს: გზის კეთება, ყარაულობა, მუქთა ხორა ჩინოვნიკების უკან დევნა და სამსახური, მარტო გლეხს აწევს კისერზე. რატომ მერე? იმიტომ რომ ითმინა, ითმინა და ქე შეაჯდენ ზურგზე.

მთავრ. წარ. კანონის ძალით გზები ყველა წოდებამ უნდა აკეთოს.

ხალხ. წარ. რას ბძანებთ! სათ გაგონილა ჩვენში ამისთანა კანონი?! თუ კაი კანონი რამეა, იმას ქე მალავენ, ხალხმა არ გაიგოსო. უთხარი ერთი ჩვენ აზნაურს: გზის კეთებაზე მოშეხმარეო და ნახავ რას გეტყვის. კანონით კი თურმე, გზაი ყველამ უნდა აკეთოს.

ეს სულ იმის ბრალია, რომ ერთისთვის თავადი დაურქმევიათ, მეორისათვის—აზნაური, მესამისათვის—სასულიერო წოდება; ესენი უნდა იჯდენ უსაქმოთ და გლეხ-კაცები იმსახუროონ. უწინ ჰკუა დაბნელებული გვქონდა და ავს კარგიდგან ვერ ვარჩევდით. თავ-წაღუნული ვემსახურებოდით ამ უსაქმო ხალხს და ჩვენი ოფლით ვარჩენდით. ახლა გონება ცოტა გაგვინათლდა, უსამართლობა დავინახეთ. ეს წოდებები რომ არის, უნდა მოისპოს, უეჭველათ უნდა მოისპოს. არ უნდა იყოს ქვეყანაზე არც თავადი, არც აზნაური, არც გლეხი. უნდა იყოს მარტო თავისუფალი ადამიანი, და სახოგადო საქმის გაკეთებაში ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა. კანონის, სიმართლის წინაშე ყველა კაცი თუ ქალი თანასწორი უნდა იყოს; ამას მოვითხოვთ ჩვენ გლეხები, რომლებმაც ამდენი გასაჭირი და უსამართლობა ვითმინეთ.

III ხალხის წარ. რაც ჩემმა ამხანაგმა სთქვა, ყველაფერი ჭეშმარიტია, მარა ჩვენი გასაჭირი მარტო ამით არ თავდება. მე ახლა გადასახადებზე მოგიყვებით: ჩვენ ისე ბევრი გადასახადები გვაწევს კისრათ, რომ იმას ჩვენი ქონების პატრონი კი არა, ნამდვილი მემამულეც ვერ აიტანს. ჩვენ ვინახავთ სკოლას, რაშიაც გვეხარჯება წლიურათ 1200 მანეთი; სოფლის მწერალს, იასაულს და ყარაულს 800 მან., ჩინოვნიკების ცხენების შენახვა 500 მან., ოზურკეთის სამეურნეო სკოლა 300 მან., მალაზიის ფული 90 მან. და ამას დაუმატეთ სახაზინო და საეკლესიო გადასახადები. ერთი მითხარით, როგორ გაუძლოთ ამას? რამდენი უსამართლობა ხდება ამ ფულების აკრეფის დროს, ეს ყველას გაგეგონება. ჩვენ ვეღარ ვზიდავთ ამ გადასახადებს. ის უსამართლოთ არის განაწილებული. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ის პირები, რომელთა შემოსავალიც 500 მანეთს ჭარბობს იხდიდნენ გადასახადს, ხოლო ვისაც ნაკლები შემოსავალი აქვს—განთავისუფლდეს სრულიად გადასახადისაგან. ახლა კი იგენს ხდიან სულს, ვისაც ღუკმა ჰადი ენატრება და მდიდრებს არაფერს არ ახდევინებენ. ეს გადასახადი შემოსავლის დაგვარად გლეხთაგან ამორჩეულმა პირებმა უნდა გაანაწილონ, თვარა მდიდრები მდიდრების სასარგებლოთ მოაწყობენ კიდევ საქმეს.

მეოთხე წარმომად. იმ გადასახადებს გარდა რომელიც ჩემმა ამხანაგმა ჩამოთვალა, ჩვენ კიდევ გვაქვს სხვა გადასახადები, რომლებსაც კაცი ადვილათ ვერ დაინახავს. ეს ფარული ანუ არა პირდაპირი გადასახადია. ღარიბისათვის საჭირო ნივთი თუ კია რამე, ყველაზე არის თურმე ასეთი გადასახადი დაწესებული, მაგალ.: ნავთზე, შაქარზე, ჩაიზე, თუთუნზე, სპიჩკაზე და სხ. ასეთი ფარული გადასახადი რომ არ ედვას, ნავთი ჩვენში ეღირებოდა გირვანქა კაპეიკათ, შაქარი, გირვანქა 6 კაპეიკათ, სპიჩკა—კოლოფი ნახევარ კაპეიკათ და სხ. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ეს ფარული გადასახადი უთუოთ მოისპოს და ხალხს შეეძლოს ხელ-მისაწდომ ფასათ საჭირო საქონლის ყიდვა.

მეხუთე წარმომადგენელმა, მშვენივრათ დაასურათა მღვდლების საქციელი და წარმოადგინა ხალხის სახელით მოთხოვნილება ეკლესიის სახელმწიფოდან ჩამოშორების შესახებ. „მღვდელი იმან შეინახოს ვისაც ამის სურვილი აქვს და ვინც იმის ლოცვა კურთხევას საჭიროებსო“.

მეექვსე წარმომად. თქვენ მოგვმართეთ «ბევრი ტანჯვა და გაჭირვება მოგითმენიათ, გურულებო, და ახლაც მოითმინეთ ცოტაო“. კარგია მოთმენა, მარა ჩვენ მოთმინება დავკარგეთ. ჩვენ ჩვენი მთავრობისაგან არავითარ სიკეთეს არ მოველით. განა თქვენ ჩვენზე უკეთ არ მოგეხსენებათ, რომ ის ერთი დიდებული პირი, რომელიც მარტო თავისი ნების და სურვილისამებრ განაგებს მთელ სახელმწიფოს, ჩვენსკენ არ იხედება? ის ხელი ხელ ჩაკიდებულია ჩვენს მტრებთან. ის სცემს კანონებს და ჩვენ გასაჭირს არ კითხულობს. თქვენც კარგ-კარგ სიტყვებს გვეუბნებით, მარა არა გვაქვს იმედი. ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი მოთხოვნილების დაკმაყოფილება არსებული წეს-წყობილების დანგრევას ნიშნავს. დიახ, ვიცით ეს და გამარჯვების იმედიც გვაქვს. ჩვენს გულში შიში არ არის, რადგან ჩვენი სურვილი და მოთხოვნილება სამართლიანია. აი შეხედეთ ამ სახლს. ის მუშის გაკეთებულია. ჯერ მან სახლს საძირკველი დაუდო ბ შემდეგ კედლები აიყვანა. თუ საძირკველს გამოაცლით სახლი წაიქცევა. წაქცევის დროს ბევრი ფიცარი დაიმტვრევა, ბევრიც გადარჩება. ეს საძირკველი მუშა ხალხის არის. მთელი სახელმწიფო მის ზურგზეა აშენებული და თავისი სიმძიმით ზეციდან აწევს, მაგრამ მაშინ, როცა გუშის დაჟანგებული მკლავი გაინჭრება, მშვიდობით ყველაფერი, მის ზურგზე აშენებული სასახლე წაიქცევა და საფლავში ჩავა მთელი თავისი ჯაშუშებითა და ჟანდარმებით, ეს რამდენი საუკუნეა შენობა დგას და ის დიდებული პირი ქვეყანას მართავს, მარა მას ხალხისათვის ყურადღება არ მიუქცევია და ახლა ჩვენ პასუხს ვთხოვთ მას, პასუხს საშვილიშვილოს; არ იფიქროს ვინმემ, რომ ჩვენი მოტყუება ან ქრთამით მოყიდვა შეიძლებოდეს, არასოდეს. ჩვენი კანონიერი მოთხოვნილება სისრულეში უნდა მოვიდეს და ამის იმედი გვაქვს.

დანარჩენმა დეპუტატებმა ილაპარაკეს სხვა მუხლებზე: მოითხოვეს: უფასო სავალდებულო სწავლა 16 წლამდე ორივე სქესისათვის. სიტყვის, კრების, ბეჭდვის, გაფიცვის და კავშირის თავისუფლება. პიროვნების და ბინის ხელ-შეუხებლობა. სალდათობის მოსპობა, ომის შეწყვეტა, სახალხო დამფუძნებელი კრების მოწვევა.

„ეს მოთხოვნილებანი ცხოვრების ნაყოფია, იმისგან წამოყენებული და იმისი უარყოფა ყოველად შეუძლებელია. აქ უსამართლო არაფერი ურევია და სიმართლის გზაზე ჩვენ ვერ შეგვაშინებს არამც თუ ალიხანოვის არმია, ვერც ათი სხვა მაგისთანა. ჩვენს ცხოვრებას სიკვდილი სჯობია“.

ნ. კ—ძე.

რუსეთის ქრონიკა

რაგორც „რ. ვ.“ გადმოგვცემს, მოსკოველ სამხედრო ცენზორს ჩვეულებათ ქონია სამხედრო მიმომხილველის წერილებს თავისი რეზოლიუცია მიაწეროს. გაზეთს თანვე მოუვს განსაკუთრებით კლასიური რეზოლიუციები სამხედრო ცენზორისა.

1) ერთ წერილზე ცენზორს შემდეგი წაუწერია: ამ წერილის დასწეილს რომ ვკითხულობდი, მე მეგონა, რომ ამისი ავტორი იყო ათენელი, რომელსაც ძალიან უხარია თავის გენერლების მოქმედებათა ქებაო“.

2) მეორე წერილზე ამ ნაირი რეზოლიუცია: „წერილს იხეთი ელფერი აქვს, რომ სრულიად შესაძლებელია გაზეთს დაერქვას „ათენელთა“ და არა „რუსეთის უწყებებიო“.

3) „ეუოფს ავტორს „სულთ ათასს“ ხმაზე წერაო და სხვა. ნუ თუ ასეთ მოქმედებას ბ. ცენზორი სამართლიანათ თვლის დაძენს გაზეთი.

—

დვინის მაზრის გლეხები იმ ზომამდე დამშეულან, რომ გაუნაგდურებიათ და დაუტოვებიათ ველ-მინდორი, რაც კი შეხვედრიათ. სხვათა შორის შემდეგი მამულები დაურბევიათ: ანდერე ბეზო, მარინე ბოლიე, ოსტაშევო, ბაღუნი, ალექსანდროვო, მაკუსოვო, და კიდევ მრავალი სხვა. („რ. ვ.“)

—

რადგანაც ქალ. ვაზანის მცხოვრებლები სტუდენტების და სხვა ინტელიგენტების ცემაში ადგილობრივ პოლიციასაც ამტბუნებენ და ბრალს დებენ, პეტერბურგის ქალაქის თავათ-ხარებულობამ კითხვა წამოაყენა, რათა იშამდგომლონ, სადაც ჯერ არს, რომ პოლიციის ჩამოერთვას პოლიტიკური ხასიათის მინდობილებანი და ქალაქს გადასცენ.

—

ტომსკში დახურულია უნივერსიტეტიც და ტექნოლოგიური ინსტიტუტიც. ორივე სასწავლებლის რჩევა იმ აზრისაა, რომ ამ წლის ზარგულ ნახევარში სწავლის გაკრძობა შეუძლებელია. სტუდენტების უმეტესობა წავიდ-წამოვიდა.

—

«ვარშავის დღიურში» დაბეჭდილია შემდეგი: 19 ათას. ჯარის კაცმა 16 ბრიგადისა და კიდევ სხვებმა, რომელთა ვინაობა ვერ შეიტყვეს, მოიდუპარეს და გადაწვიტეს, რომ ომში წასვლაზე უარი განეცხადებინათ და ძალა ეხმარათ სამხედრო მთავრობის წინააღმდეგ. ამ მიზნით, ამ წლის 11 იანვარს მათ ერთი ადამიანი ატეხეს კაზარმებში: უვირიდენ, იგინებოდენ და ემუქრებოდენ მთავრობას. წესიერების აღსადგენათ სამხედრო რაზმი იქნა მოწვეული. ეველა დამნაშავეები სამხედრო სამართალში მიცეს და მათი საქმე სამხედრო წესების მიხედვით გაირჩა. 5 ბრალდებულთაგანი დახვრიტეს, ორი გაამართლეს, დანარჩენს კატორგა მიუსაჯეს, ზოგს უვადოთ, ზოგსაც—20 წლის.

—

ჩვენ გაზეთში დაბეჭდილი იყო, თუ როგორის სიმხეცით აღიგინა წესიერება კურსკის პოლიციაში 12 თებერვალს მომხდარ არეულობის დროს. ეკატერინოსლავის პოლიციის პრისტავებისათვის ზაზდი მოუგვრია კურსკის პოლიციის მოქმედებას და ბირგულათ ასეთი პროტესტი დაუბეჭდავთ „ბრიდან. კრ.“ მეორეთ წინააღმდეგ:

„ვიკითხე რა გაზეთში აწერილობა კურსკის პოლიციის მოქმედებისა 12 თებერვალს მომხდარ უწესობის დროს, რასაც უმეტესობა მოსწყვლე ახალგაზრდები შეადგენდენ, ჩვენ დავინახეთ, რომ კურსკის პოლიციის დავიწყებია ღმერთი, კანონიც და უფლებაც“.

„ჩვენ, ეკატერინოსლაველი პრისტავები ვუცხადებთ კურსკის პრისტავებს ჩვენს ღრმა სიძულვილს. ამას გარდა, ვინაიდან არ შეგვიძლიან სრულიად ვენდოთ გაზეთში დაწერილს, ჩვენ არ გვარგვთ იმედს, რომ კურსკის პრისტავები თავს იმართლებენ ბეჭდვითი სიტყვის საშველებით. (რ. ვ.)

—

1, სარატოვიდან გაზ. „რ. ვ.“ს მისწერეს 330 ქალის და კაცის ხელ მოწერილი განცხადება, რომელშიაც სარატოვის მცხოვრებლები აცხადებენ, რომ არა თუ ხელს არ შეუშლიან მოსწყვდეს ახალგაზრდობის ფიცლებს, პირ იქით ლტდებიან ყოველი ღონის ძიება და გავლენა მოიხმარონ, რათა იმათმა შვილებმა, ძმებმა და დებმა არ განაგრძონ მტკიდნეობა, სანამ უკანასკნელთა პირობების ხელუხლობლობა უზრუნველ ეყოფილი არ გახდება.

იდუმალი ხმა.

ჩუ!... ეს ხომ საზარელი ხმა არის? ვინ გაიძახის ამ საშინელ სიტყვებს?

ყველანი გაფაციცებით ყურს უგდებენ იდუმალ ხმას, რომელიც თუთიყუშივით, დაუნანებით ერთ და იმავე სიტყვებს იმეორებდა:

— სიკვდილი, სიკ ლილი, სრკვდილი!

— ვის, ვის, ვის?

უნებლიეთ, მაშინალურად ეკითხებოდა იდუმალ ხმას თითეული მათგანი.

— წოდებას, წოდებას, წოდებას!

— როგორ თუ წოდებას? განა წოდება უნდა მოკვდეს? არა, არა და არა!

— დიახ, მოკვდება წოდება, მოკვდება. ალარ იქნება თავადი, აზნაური, გლეხი! ადამიანი ღა დარჩება, თავისუფალი, გულადი, ამაყი, თავმოყვარე. კმარა მონობა...

შეხუთული და ტყვიასავით მძიმე ჰაერი გახურებულიყო და მთელი თავისი ძალ-ღონით აწვებოდა იქ მყოფთ.

მწვარე, სასტიკი სინამდვილე ალარავის ინდობდა. ყველას ეშინოდა თავის ბნელ წარსულში ჩახედვა. ეშინოდა, მარა რაღაც საიდუმლო ძალა კინწის კვრით და ბიძგებით მიდენიდა მათ იმ ბნელ წარსულში ჩასახედათ. წარსული კი უფსკრულ ორმოს გავდა, ხმა-მაღლა მოლაღადე ცოდვებით ამოვსებულს და ვინც შიგ ჩაიხედავდა, საზარელ განჩინებას ამოიკითხავდა...

— სიკვდილი წოდებას!

— სიკვდილი წოდებას! იმეორებდა იდუმალი ხმა და, თითქო თვით უჩინარი სიკვდილი, საზარელი ცელით შეიარაღებული, დანავარდობდა ელვასავით, მძიმესა და გახურებულ ჰაერში...

— კბილი კბილისა წილ და თვალი თვალისა წილ... სიკვდილს გვიქადიან ჩვენ! სიკვდილი თვით იმათ! „ამდენი საუკუნეები გემსახურეთ, თქვენი მონები ვიყავით, მოგვებეზრდა და ალარ გვსურს ამას შემდეგ მონობაო“, გვეუბნებიან! „შენი სვი და შენი ჭამე, ჩვენსას ჯვარი დაგვიწერეო“. როგორ! განა ეს შესაძლებელია? სიკვდილი მათ!“ „ჩვენ არავითარი ძალის არ გვეშინია, ძალა ვერ შეგვაჩერებსო!“ დაეუმტკიცოთ მათ, რომ სასტიკათ ცდებიან! ცეცხლითა და მახვილით გვექადებიან, ცეცხლი და მახვილი ვიხმაროთ ჩვენც! დეე, იცოდენ, რომ ძალა ჩვენს მხარზეა! სიკვდილი მათ!

ამბობდა ერთი იმათთაგანი.

— მერე ტყუილს გეუბნებიან? განა თქვენი ყურმოჭრილი ყმები არ იყვენ იგინი ამდენ საუკუნეების განმავლობაში, განა სამართლიანი არაა მათი მოთხოვნა: შენი სვი და შენი ჭამე, ჩვენსას ჯვარი დაგვიწერეო! მისი ნაოფლარით და ნაამაგარით არ ისუქებდი „ღიპს და ლაბაბს?“ განა არ იცი, რომ ცეცხლითა და მახვილით ეერას გახდები მათ წინააღმდეგ? იგინი ყველაა—შენ არავინ!

უპასუხებდა იდუმალი ხმა.

— მე არ მჯერა, არა და არა, რომ ჩვენსა და მათ შორის რაიმე ღრმა წინააღმდეგობა სუფევდეს. განა ამდენ ხანს ერთათ არ გვიცხოვრია? განა წარმოვიდგენდი, რომ ჩემი გლეხი მეზე წინ აღმიდგებოდა? რატომ უნდა მებრძოლოს იგი? მე კი არა, სულ სხვა ვინმეა მიზეზი მათი გაჭირვებისა... და აი მან არ იცის ვისზე იყაროს ჯავრი, ვის მიუზღოს სასტიკი საზღაურით, ყველაზე წინ მე მხედავს და მე მემუქრება... ვიმეორებ, რომ არ ყოფილა, არც არის და არც იქნება განხეთქილება ჩემსა და ჩემ გლეხს შორის, ეს მხოლოთ მწარე შეცდომაა, რომლიდანაც უნდა ვიხსნათ იგი და ნამდვილ მტერს მივუთითოთ!

ამბობდა მეორე.

— „განა წარმოვიდგენდი, რომ ჩემი გლეხი მეზე წინ აღმიდგებოდაო, ჩემსა და ჩემ გლეხს შორის არავითარი განხეთქილება არ არისო“, ამბობ შენ. მერე ვინ მოგცა ნება, რომ ის იმდენათ დაგისაკუთრებია, რომ შენსას ეძახი, თითქო შენსაებრ დაბადებული ადამიანი უსულო ნივთი იყოს? აღარ არის, წავიდა ის დრო, რომელიც ადამიანის დასაკუთრების უფლებას გაძლევდა! როგორ აიტკიცებოდი, როგორი თავ-მოყვარების ნაპერწკლებით აგეგსებოდა „კეთილ-შობილური“ თვალები, როგორ მძლავრათ მოკუმშავდი შენ გალაღებულ ხელებს, რომ ამნაირივე ეპიტეტი შენზე ეხმარა ვისმეს და ეთქვა: „ჩემი თავადიო“! განა თვით ეს საზიზღარი სიტყვა ,,ჩემი ადამიანი'' საკმაო მიზეზი არ არის უთანხმოების გამოწვევისათვის?

უპასუხებდა იდუმალი ხმა.

— ბატონებო!

დინჯი, ბოხი ხმით დაიწყო შემდეგმა. მთელი ზალა სმენათ გადიქცა. რაღაც ახალს მოელოდა სუყველა და გაორკეცებული ყურადღებით იჭერდა ორატორის სიტყვებს.

— ათასი წლის შენობა, უზარმაზარი, ძველის ძველი, საშიშარი შენობა იშლება და ირღვევა. ვერავითარი არხიტექტორი, ვერავითარი ხურო ვერ შეაჩერებს მის დანგრევას კედლები ზანზარებენ. ვეებერთელა ჭუჭრუტანებს პირი დაულიათ და შავათ გაცქერიან აგრიგალებულს, აბობოქრებულს არემარეს, შენობაში ყოველივე ლპება და იხრწნება და აი დადგა დრო, როცა საძირკვლიანათ შერყეული შენობა ვერ იტევს საზარელ ბალღამს... მან უნდა გამოხეთქოს ჭუჭრუტანებში, გაიტანოს კედლები და თავზე დაახეთქოს ნანგრევები ვისაც ჯერ არს. და ამ ნანგრევებზე აშენდება ახალი, მკვიდრი შენობა...

აი, სად იმალება ნამდვილი მიზეზი იმ მოვლენისა, რომლის გამოსარკვევათაც ჩვენ დღეს აქ შევკრებილვართ, აბა, რა დანაშაული უნდა მიგვიძღოდეს გლეხების წინაშე?...

ჰმმ! გესლიანათ უპასუხებდა იდუმალი ხმა. მართალი ხარ შენ; ვერ გაუძლებს დახავსებული კედლები მოზღვავებულ ბალღამს, რომელიც უსათუოთ გადმოხეთქს! მერე შენ რაო? განა არ იცი, რომ იმ შენობაში, რომელიც სიცოცხლეს უხუთავს ყველას და სისტემატიურათ წამლავს და ხაშმავს ჰაერს, თქვენც მოგიკალათებიათ? არ იცი, რომ სხვა ელემენტებთან ერთათ თქვენც იხრწნებით და ლპებით? რომ იმ ბალღამში, რომელმაც მალე უნდა გამოხეთქოს, თქვენცა გაქვთ წილი? სრულიად უნდა დაიწრიტოს შენობა და სხვა ელემენტებთან ერთათ თქვენც უნდა მოგიმწყვდიოს ქვეშ მისმა ნანგრევებმა! ეს შენ კარგათ გესმის! მე ვერ მომატყუებ, შენ ეშმაკო!

თქვენ არ მიგიძღვის დანაშაული გლეხის წინაშე?

განაგრძობდა იდუმალი ხმა.

სირცხვილი შენ, სირცხვილი! ვისი დაწერილია შვენიერი წიგნი, რომელსაც „გლახის ნაამბობი“ ქვია? ვისი მეთქი, გეკითხები. რატომ აწერე ისე ხელოვნურათ „ბატონების“ სიმხეცე და ყმების გაჭირვება, თუ რამდენიმე ხნის შემდეგ შენს ნაწერებს შენვე უარყოფდი? ვინ გალექსა ისე ლამაზათ ყაჩაღი კაკოს ნაამბობი? ვინ მეთქი, გეკითხები? რა იყო მიზეზი კაკოს გაყაჩაღებისა?

ნუ თუ ყველა ეს დაგავიწყდა? ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ „კაკოს“, „გაბროს“ და „თამროს“ დავიწყებოდეს ის, რაც შენ განზრახ დაგვიწყებია. სირცხვილი შენ, სირცხვილი!

იქნებ შენა გგონია, რომ შენი წიგნების გამოცემის შემდეგ შეწყდა და მოისპო ის სიმხეცე ერთი მხრით და გაჭირვება—მეორის, რომელიც შენი წიგნების შინაარსს წარმოადგენს?; ხომ გაიგონე, რა ილაპარაკა წელან შენი წიგნების პირმა: რა ზომებისთვის მიუმართავს მას გლეხების წინააღმდეგ სოფელ ჭალაში უბრალო უკმაყოფილების მოსასპობათ. იცოდე, ეს ერთი მკრთალზე უჭკრთალესი მაგალითი იყო თქვენი სიმხეცისა!..

დადგა დრო განკითხვისა. მოვიდა ჟამი ოდეს თქვენ და მრავალნი სხვანი, როგორც მაშინ, როდესაც, ქრისტეს ტანჯვით და სისხლით გამოწვეულ მიწის ძვრის დროს, დედა-მიწა გასქდა და საფლავებმა თავის მკვდრები ცოცხლათ ამოყარეს—რომაელ მეომრებივით შიშ-მორეული გაქუსლავთ და ერთი ვინმე, მიზეზის მიზეზი, გულქვა და უგულო, შემკრთალი და აკანკალებული, ასის თავივით დაიძახებს: „მართალი ყოფილან, მართალი ყოფილანო“.

თაგუნა.

ქურნალ-გაზეთებიდან.

ამ დღეებში ერთი საკვირველი ამბავი მოხდა. არ იფიქროთ, რომ მე რაიმე მოძრაობაზე, გაფიცვაზე ან კერძო კომისიების თათბირზე და წყლის ნაყვაზე გელაპარაკებოდეთ, რაც ასე გაბზირდა ამ მოუსვენარ და საყურადღებო დროს. მე არც იმ ვაჟბატონებზე გელაპარაკები, რომლებიც რაღაც ისტორიაზე და ისტორიულ ხანაზე გაიძახიან და უნდათ თუ არა, ყველას „ისტორიის წევრობას“ აკისრებენ. მე მოგახსენებთ იმაზე, რომ ამას წინეთ გაზ. „ივერიაში“ თ-დ ილია ჭავჭავაძის სიტყვები იყო მოყვანილი, რომლებიც მან თავად-აზნაურთა კერძო კრებაზე წარმოთქვა, და შემდეგ იმავე გაზეთის ფურცლებზე თვით ილიას წერილი იყო დასტამბული. თავადი ჭავჭავაძე, ეს ჩვენი სასიქადულო პოეტი და მწერალი, თავად-აზნაურობას თურმე უმტკიცებდა, რომ გლეხების მოძრაობა მემამულეების ბრალი როდია, ამის მიზეზი სულ სხვა გარემოებაო. სახელოვანი მწერლის აზრით, ქართველი გლეხებისთვის ხაზინას წაურთმევია მიწა და არა თავად-აზნაურობას, და ამიტომ ქართველი გლეხები ჩვენ მემამულეებს კი არ უნდა ებრძოლენო. საჭიროა, რომ ხაზინამ ჩვენ გლეხებს დაურიგოს მიწებიო. რასაკვირველია, ამის წინააღმდეგი აბა ვინ იქნება, მაგრამ საქმე ის არის, რომ ბ-ნი ჭავჭავაძე არც თავის თავს ივიწყებს. გლეხების მოძრაობით რგი სარგებლობს, რათა თავად-აზნაურობის საქმეც წინ წაიყვანოს, და რაც რამ მამული მას დაუკარგავს, ისევ ამოაგებინოს. აი თვით ბ-ნ ილიას სიტყვები: „მოგვცენ ქართველებს (უნდა იგულისხმოთ: თავად აზნაურობას) ჩვენგან წართმეული ჩვენი მიწა-წყალი, რომელიც ახლა ხაზინასა აქვს დაჩემებული და რომელსაც ყველას ურიგებს, ქართველებს გარდა, და მაშინ იქნება ზოგმა ჩვენგანმა დაუთმოს გლეხ-კაცს თავისი ადგილებიდან ზოგი რამ იმ პირობით, რომ საბაგიეროთ მიიღოს ხაზინის მამუ-